

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

თამარ ჩოხარაძე

სახელი სამხრულ კილოებში

სპეციალობა - ლინგვისტიკა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის

ანოტაცია

ბათუმი
2017

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მამია ფალავა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შემფასებლები:

ნანა ცეცხლაძე - ფილოლოგიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ელზა ფუტყარაძე - ფილოლოგიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

მედეა რიყვაძე - ფილოლოგიის დოქტორი,

წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო

უნივერსიტეტის პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება **2017 წლის 6 აპრილს, ხუთშაბათს, 37-ე აუდიტორიაში, 13 საათზე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქ. N 35.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკასა და ამავე უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,

ასოცირებული პროფესორი ნ. ცეცხლაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სამხრეთი საქართველო მტკვრის ზემოწელთან ერთად მოიცავს ჭოროხის აუზის ცალკეულ რეგიონებს (აქარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი...). სამხრული დიალექტების გავრცელების არეალი სწორედ დასახლებული რეგიონებია და, შესაბამისად, წარმოდგენილი ნაშრომის **კვლევის ობიექტი** - ჭოროხის აუზის ქართველთა მეტყველებაა.

საკვლევი თემის აქტუალობა: ჭოროხის აუზი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი კერა იყო. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. რეგიონი ძველად შეადგენდა სამ დიდ პროვინციას: კლარჯეთს, ტაოს და სპერს. ამ პროვინციების საზღვრები ზოგჯერ იცვლებოდა, მაგრამ საზოგადოდ, კლარჯეთ-შავშეთი მოიცავდა აუზის ქვემო წელს, შუა წელი ჭოროხისა - ოლთისით, თორთომით, პარხლით - ტაოდ იწოდებოდა; ხოლო ზედაწელი - ისპირად ანუ სპერად. უძველესი დროიდან მოყოლებული მთელი ეს ტერიტორია ქართული/ქართველური ტომებით იყო დასახლებული, შესაბამისად, ქართულენოვან სივრცეს წარმოადგენდა.

XVI საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს სამხრეთი პროვინციები ოსმალეთმა მიიტაცა, რასაც თან მოჰყვა აქაურთა იძულებითი გამაჰმადიანება. XIX-XX საუკუნეებში მუჰაჯირობის დიდმა ტალღამ გადაუარა სამხრეთ საქართველოს, ქართველები აყარეს მშობლიური მიწა-წყლიდან და ოსმალეთის შიგა პროვინციებში გადაასახლეს. რეგიონის დიდ ნაწილში ქართული ენა დროთა განმავლობაში საოჯახო ურთიერთობის ენად იქცა, ხშირად აქედანაც გამოდევნა თურქულმა, - სახელმწიფო ენამ. თურქეთის შემადგენლობაში დარჩენილ ბევრ სოფელში საერთოდ დაივიწყეს მშობლიური ენა, ქართული ადათ-წესები

და ეთნოგრაფიული ყოფა, მაგრამ ეს ყველაფერი უკვალოდ არ გამქრალა, - დაილექა თურქეთის ჩრდილო პროვინციების თურქულსა და სამეურნეო ყოფაში.

ჭოროხის აუზის თანამედროვე ვითარების შესწავლაც ცხადყოფს, რომ იგი ერთიანი კულტურული სივრცეა, მიუხედავად ამისა, აქ ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე „ქვეყანა“, რეგიონი თავისი მეტყველებით, ეთნოგრაფიული ყოფით, ფოლკლორით...

ისტორიულმა რეალობამ წარუშლელი კვალი დატოვა ჭოროხის აუზის მოსახლეობის ყოფაზე. ისტორიულ-კულტურული მეხსიერება ინახავს არაერთი ისტორიული ეპოქის ტრაგიკულ თუ საამაყო მომენტს, რაც ვლინდება როგორც მატერიალურ კულტურაში, ასევე ადათ-წესებში, ლეგენდებსა და თქმულებებში, ტოპონიმებში, ქართულ მეტყველებაში და მშობლიურ ენადაკარგულ ქართველთა თურქული მეტყველებას შეფარებულ ქართულ ლექსიკაშიც კი... თანამედროვე მოსახლეობაში ამ ინფორმაციის შეგროვება და სისტემაში მოყვანა მრავალმხრივ სურათს ხატავს რეგიონის წარსული თუ ამჟამინდელი ყოფის შესახებ და, ამასთან, არაერთ პრობლემას წარმოაჩენს თვალსაჩინოდ. ამდენად, კულტურათა უთანასწორო დიალოგის შედეგები, ისტორიული ქართული პროვინციების თანამედროვე ვითარება განაპირობებს უკანასკნელ წლებში წარმოებული კვლევების აქტუალობას.

კვლევის მიზნები და ამოცანები: სამხრული კილოების გავრცელების ძირითადი არეალი ჭოროხის აუზია, რომლის უმეტესი ნაწილი დღეს თურქეთის შემადგენლობაშია და ძირითადად, ართვინის პროვინციის ტერიტორიას შეადგენს. ხსენებულ პროვინციაში ქართულ ენაზე მეტყველებენ შავშეთის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში (იმერხევში, უსტამისსა და ჩიკისხევში), ნიგალში - ჭოროხის ხეობაში მარადიდვიდან ართ-

ვინამდევ (მურღულის ხეობითურთ), ზედა მაჭახლის (მაჭახლის ხეობის თურქული ნაწილის) ექვს სოფელში, ტაოში - პარხლისწყლის აუზის რამდენიმე სოფელში და ბინათში. აჭარასთან (და საქართველოს სხვა რეგიონებში შიდა მიგრაციის შედეგად დაფუძნებულ ზოგიერთ სოფელთან) ერთად სწორედ დასახლებული ტერიტორია შეადგენს სამხრული დიალექტების გავრცელების არეალს.

გარდა აღნიშნულისა, სამხრული დიალექტების გავრცელების არეალია თურქეთის მარმარილოსა და შავი ზღვის რეგიონების ის დასახლებები, რომლებშიც აჭარიდან, კლარჯეთიდან, შავშეთიდან, ტაოდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ.

ამდენად, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს სამხრული კილოები, მათი გავრცელების გეოგრაფია და შესწავლის მდგომარეობა. ნაშრომის მიზანია, სამხრულ კილოებში სახელის თავისებურებათა ანალიზი.

მეცნიერული სიახლე: წარმოდგენილი ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ მონოგრაფიულად არის შესწავლილი სახელის თავისებურებანი სამხრულ დიალექტებში. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისიც, რომ ნაშრომში გამოყენებულია არამხოლოდ უშუალოდ სამხრეთ საქართველოში ჩაწერილი დიალექტოლოგიური ტექსტები, არამედ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშებიც. ვიყენებთ, ძირითადად ბსუ-ის ქართველოლოგიის ცენტრის მასალას, აგრეთვე - ჩვენ მიერ ექსპედიციების დროს ჭოროხის აუზსა თუ მუჰაჯირთა შთამომავლებთან - ორდუს, სამსუნის, ქოჯაელის, საქარიას, იალოვას... პროვინციებში ჩაწერილ ტექსტებს. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს საკმაო მოცულობის მასალა, რაც ამავდროულად, განაპირობებს **ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას**. შესაბამისად, კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებე-

ლია ქართული ენის, ქართული დიალექტოლოგიის, ასევე, საქართველოს ეთნოლოგიის, კულტუროლოგიის... არაერთი საკითხის სწავლებისა და კვლევებისთვის.

კვლევის მეთოდი: აღვნიშნავ, რომ დიალექტოლოგიური მასალების ჩაწერა ხდებოდა როგორც ხელით, ასევე ელექტრონულ ფორმატში, რაც ჩაწერილი მასალების შემოწმებისა და დაზუსტების შესაძლებლობას გვაძლევდა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ძირითადად გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი და აღწერითი მეთოდი; წინასწარ შედგენილი კითხვარების მიხედვით ხდებოდა ფოლკლორული, დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური მასალების ჩაწერა. საველე-შემკრებლობითი მუშაობა ჩატარდა ართვინის პროვინციის როგორც ქართულენოვან ხეობებსა და სოფლებში, ასევე, თურქეთის შიდა რეგიონებში, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში. ინფორმატორები შეირჩნენ ასაკისა და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ინტერვიუები ხორციელდებოდა ინდივიდუალურად, იშვიათ შემთხვევაში - ჯგუფური მეთოდით, გამოიყენებოდა თავისუფალი საუბრის მეთოდიც.

ნაშრომის თეორიული საფუძველი: საველე მუშაობის პარალელურად შესწავლილია სათანადო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. ბუნებრივია ისიც, რომ ხსენებულ ლიტერატურასთან ერთად, ნაშრომის საფუძველია უკანასკნელი წლების საენათმეცნიერო კვლევების შედეგები. განსაკუთრებით აღვნიშნავთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კომპლექსურ მონოგრაფიებს – „შავშეთი“ (2011 წ.) და „კლარჯეთი“ (2016 წ.), ასევე შ. ნიჟარაძის, ჯ. ნოლაიდელის, მ. ფაღავას, შ. ფუტყარაძის, თ. შიოშვილის, მ. ცინცაძის, მ. ბარამიძის, ნ. ცეცხლაძის, ნ. ფარტენაძის, მ. კიკვაძის, მ. ხახუტაიშვილის და სხვათა ნაშრომებს...

ნაშრომის აპრობაცია:

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში, სადაც შედგა მისი განხილვა-აპრობაცია 2016 წლის 15 ივლისს (ოქმი № 8).

ნაშრომს რეკომენდაცია მიეცა წარდგენილიყო ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ნაშრომის ცალკეული ნაწილი გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებსა და შრომათა კრებულებში, წაკითხულია მოხსენებებად საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე.

ნაშრომის სტრუქტურა: საკვალიფიკაციო ნაშრომი „სახელი სამხრულ კილოებში” მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 137 გვერდს და შედგება შესავლის, პარაგრაფებად დაყოფილი სამი თავისა და დასკვნებისგან, რასაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი:

დისერტაციის შინაარსი:

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია საკვლევი თემის აქტუალობა, ძირითადი მიმართულებანი, მიზნები და ამოცანები. წარმოჩენილია დისერტაციის სამეცნიერო სიახლე და ღირებულება, კვლევის მეთოდები, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, მოცემულია ინფორმაცია ნაშრომის სტრუქტურის შესახებ.

თავი I. სამხრული კილოების საკითხი თანამედროვე ქართველოლოგიაში

ნაშრომის პირველ თავში გაანალიზებულია სამხრული კილოების კლასიფიკაციის საკითხი, შესწავლის მდგომარეობა, სამხრული დიალექტების გავრცელების არეალი როგორც ჭოროხის აუზში, ასევე, თანამედროვე თურქეთის მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ რეგიონებში, ხაზგასმულია ქართული ენის ცოდნის ხარისხი თურქეთის ქართველებში.

1.1. სამხრული დიალექტების კლასიფიკაციის საკითხი.

ბოლო წლებში ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შეინიშნება მცდელობა დიალექტთა არსებული კლასიფიკაციის გადასინჯვისა. განსაკუთრებით ეს შეეხება სწორედ თურქეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველთა მეტყველებას. ახალი თვალსაზრისების გაჩენას აქვს ობიექტური საფუძველი: გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა ისტორიული საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის, ჭოროხის ხეობის ქართველთა მეტყველების ადგილზე შესწავლა. გამოქვეყნდა არაერთი ნაშრომი, მათ შორის - მონოგრაფიები.

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ ვეყრდნობით პროფ. მ. ფაღვასეულ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც სამხრულ მეტყველებაში უნდა გამოიყოს:

1. შავშური კილო // შავშური დიალექტი კილოკავებით: იმერხეული, მაჭახლური.

2. კლარჯული კილო // კლარჯული დიალექტი კილოკავებით: ზემოკლარჯული, ქვემოკლარჯული (ლივანური) (დაყოფა პირობითია).

3. ტაოური კილო // ტაოური დიალექტი.

4. აჭარული კილო // აჭარული დიალექტი კილოკავებით: ზემოაჭარული, ქვემოაჭარული და ქობულეთური.

აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური ქმნიან დიალექტთა ჯგუფს, რომელსაც სამხრულ დიალექტებს/სამხრულ კილოებს ან სამხრულ მეტყველებას ვუწოდებთ.

ამდენად, ვითვალისწინებთ რა საკითხის კვლევის ისტორიას და არსებულ თვალსაზრისებს, წარმოდგენილ ნაშრომში სამხრულ კილოებს/სამხრულ მეტყველებას (მ. ფაღვა, მ. ცინცაძე) ვუწოდებთ აჭარულს, შავშურს, კლარჯულსა და ტაოურს.

რაც შეეხება მუჭაჯირთა მეტყველებას - აჭარელ მუჭაჯირთა მეტყველება ტიპური აჭარულია, შავშელებისა - შავშური, კლარჯებისა - კლარჯული და ა.შ. მუჭაჯირებს შენარჩუნებული აქვთ წინაპართა მეტყველებისათვის დამახასიათებელი აქცენტებიც, ეს მეტყველება თავისუფალია სალიტერატურო ქართულის გავლენისაგან, უფრო მეტიც, მუჭაჯირთა შთამომავლებმა შეინახეს ბევრი ის თავისებურება, რომელიც ახასიათებდა საუკუნე-ნახევრის წინ წინაპართა მეტყველებას და რომელიც „დაივიწყა“ აჭარულმა აჭარაში, კალრჯულმა კლარჯეთში, შავშურმა შავშეთში და ა.შ. ამდენად, მუჭაჯირთა მეტყველება საყურადღებოა, ერთის მხრივ, სამხრული კილოების შესასწავლად, მეორეს მხრივ, ენის ისტორიისთვის.

1.2 სამხრული კილოების შესწავლის მდგომარეობა. სამხრული კილოების კვლევას საფუძველი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩაეყარა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დიმიტრი ბაქრაძისა და გიორგი ყაზბეგის, მოგვიანებით კი - ზ. ჭიჭინაძისა და თ. სახოკიას ჩანაწერები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. მარის „დღიურები“, რომელშიც შეტანილია ე.წ. იმერხეული მეტყველების ნიმუშები და ტოპონიმიკური მასალა. მეცნიერმა 1904 წელს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ სავანეთა ძიების მიზნით იმოგზაურა სამხრეთ საქართველოში და მოიარა შავშეთის და კლარჯეთის სოფლები. დღესაც დიდია მისი „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურების“ მეცნიერული, ისტორიული და, გნებავთ, პრაქტიკული მნიშვნელობა.

შემდეგი ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილმა მოაწყო 1917 წელს. მისმა ექსპედიციებმა და გამოკვლევებმა უდიდესი წვლილი შეიტანა ამ ვრცელი რეგიონის შესწავლის საქმეში.

მას შემდეგ, რაც სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში მოექცა, კარგა ხნის განმავლობაში ქართველ მკვლევარს თურქეთის ქართულ პროვინციებში ფეხი არ დაუდგამს. თუმცა, ინტენსიურად მიმდინარეობდა აჭარული დიალექტის შესწავლა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა ჭოროხის ქვეყნებშიც. პირველმა პროფესორმა შუმანა ფუტყარაძემ იმოგზაურა რამდენიმეჯერ თურქეთის რესპუბლიკაში, ჩაიწერა იქ მცხოვრებ ქართველთა მეტყველების ნიმუშები და გამოაქვეყნა ცალკე წიგნად, რომელმაც დიდი ინტერესი აღძრა. მეოცე საუკუნის მიწურულს განახლებული კვლევები წარმატებით გაგრძელდა საქართველოს არაერთ სამეცნიერო ცენტრში, მათ

შორის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1.3. სამხრული დიალექტების გავრცელების თანამედროვე არეალი. ყველა სამხრული დიალექტი დღემდე ცოცხალი დიალექტებია. ამ დიალექტებზე მეტყველი აჭარლები, შავშები, კლარჯები, ტაოელები ცხოვრობენ როგორც ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე - ერთი მხრივ - საქართველოს რესპუბლიკაში (აჭარასა და, მასთან, ქვეყნის სხვა რეგიონებში - შიგა მიგრაციების შედეგად), მეორე მხრივ, თურქეთის შემადგენლობაში მოქცეულ ქართულ ტერიტორიებზე - შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში; ასევე, თურქეთის შიდა რაიონებში (ქართველები თურქეთის არაერთ პროვინციაში ცხოვრობენ, უმეტესად, ქალაქებში, მაგრამ კომპაქტური დასახლებები თავმოყრილია მარმარილოსა და შავი ზღვის რეგიონებში). ეს უკანასკნელნი არიან ა) მუჰაჯირობის პროცესში გადასახლებულთა შთამომავლები; ბ) თურქეთის შიდა მიგრაციების შედეგად გადასახლებულები (შავშეთიდან, კლარჯეთიდან და ტაოდან. აგრეთვე, მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებიდან).

ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული ინფორმაცია თურქეთის რესპუბლიკაში არსებული ქართული დასახლებების შესახებ, ერთგვარი „დიალექტური მოზაიკის“ შესაბამისად. ჩამოთვლილია კლარჯეთის, შავშეთის, ტაოს ქართულენოვანი სოფლები. აგრეთვე აჭარიდან, კლარჯეთიდან, შავშეთიდან, ტაოდან გადასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა დასახლებები თურქეთის შიდა პროვინციებში. მონაცემთა სისტემატიზაციისას ვეყრდნობით ერთი მხრივ, უახლეს კვლევებს და თანამედროვე ავტორების - პროფ. მამია ფალავას, პროფ. შ. ფუტკარაძის, პროფ. მ. ჩოხარაძის... ნაშრომებს, ასევე ბსუ-ის ქართველოლოგიის ცენტრის მკვლევართა კოლექტიურ მონოგრაფიებს, მეორე მხრივ, ჩვენსავე ჩანაწერებს, კერძოდ, მასალებს ექსპე-

დიციებისა, რომლებშიც ვღებულობდი მონაწილეობას ზემოხსენებული ცენტრის მკვლევართან ერთად (მხედველობაში მაქვს ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციები თურქეთის რესპუბლიკაში, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ პროვინციებში): 2014 წელს – ბურსის, ბალიქესირის, დუზჯეს და სინოპის პროვინციებში; 2013 წელს – ქოჯაელის, საქარიას, ბურსის და დუზჯეს პროვინციებში; 2012 წელს – ორდუსა და სამსუნის პროვინციებში).

აქვე შევნიშნავთ, სულ თურქეთში მუჰაჯირთა შთამომავლების რამდენიმე ასეული სოფელია. ქართველთა დასახლებების სისტემატიზაციისთვის კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო, და, შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემების გარკვეული ნაწილი ჯერაც დასაზუსტებელი და შესავსებია, მიუხედავად ამისა, არსებული მასალა საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა სამხრული დიალექტების თანამედროვე გეოგრაფიისთვის.

1.3.1. აჭარული დიალექტი, მიუხედავად იმისა, რომ აჭარული საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში თურქული ენის გავლენას განიცდიდა, მთლიანად შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული სტრუქტურა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. მართალია, იგივე შეიძლება ითქვას სხვა სამხრულ კილოებზეც, მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თურქულის გავლენა აჭარულში - შავშურთან, კლარჯულთან თუ ტაოურთან შედარებით - წინათაც ნაკლები იყო.

აჭარული დიალექტი უპირველესად გავრცელებულია თანამედროვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. იგი ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების მკვიდრთა მეტყველებაა.

აჭარული დიალექტის კილოკავებია: ზემოაჭარული (ხულოს, შუახევისა და ქედის და, ნაწილობრივ, ხელვაჩაურის მკვიდრთა მეტყველება - აჭარისწყლის ხეობის მკვიდრთა მეტყ-

ველები), ქვემოაჭარული (ბათუმის შემოგარენის სოფლების მკვიდრთა მეტყველება) და ქობულეთური (ქობულეთის მკვიდრთა მეტყველება).

საქართველოს რეგიონებში აჭარელი ეკომიგრანტები კომპაქტურად ცხოვრობენ: ჩოხატაურის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, წალკის, საგარეჯოს, სიღნაღის, ლაგოდეხის, გორის, კასპის, ქარელის, ასევე ქვემო ქართლის რაიონებში.

როგორც აღვნიშნეთ, აჭარლები სახლობენ და მშობლიურ კილოზე მეტყველებენ თურქეთის შიგა პროვინციებშიც, კერძოდ, ორდუს, სამსუნის, დუზჯეს, გირესუნის, თოქათის, ამასიის, სინოპის, რიზეს (შავი ზღვის რეგიონი), ბურსის, საქარიას (მარმარილოს რეგიონი) პროვინციებში.

მუჰაჯირი აჭარლების შთამომავლებმა, დღევანდელმა უფროსმა და საშუალო თაობამ, უმეტესად, შეინარჩუნა წინაპართა ენა დიალექტური თავისებურებებით.

1.3.2. კლარჯული დიალექტი გავრცელებულია ისტორიული კლარჯეთის ტერიტორიაზე, ჭოროხის აუზის იმ ნაწილში, რომელიც „ნიგალის“ ან „ლივანას“ სახელითაა ცნობილი. ნიგალი ჭოროხის ქვედაწელზე, სადაც სოფელ ერგეს მიდამოებთან იწყებოდა და ართვინამდე აღწევდა. ამდენად, ამ რეგიონის უმეტესი ნაწილი დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია. მიუხედავად ამისა, ქართულენოვანი სივრცე სახელმწიფო საზღვრის მიღმა ბუნებრივად გრძელდება, თუმცა სურათი მნიშვნელოვნად შეცვლილია. ჯერ ერთი, კარგა ხანია ჩაბარდა წარსულს ის დრო, როცა ბავშვები მშობლიურ ენაზე იდგამდნენ ენას. ქართულად ნიგალში, ისევე, როგორც თურქეთის სხვა „ქართულ“ რეგიონებში, მხოლოდ საშუალო და უფროსი თაობა მეტყველებს; მეორეც, განუწყვეტელმა მიგრაციამ, უფრო მეტად კი მუჰაჯირობის პროცესმა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში,

რამდენადმე შეცვალა ქართული ენის გეოგრაფიაც და დემოგრაფიული სურათიც.

კლარჯული დიალექტი დღემდე ისმის, ასევე, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებში. შავი ზღვის რეგიონში „კლარჯული“ სოფლები ბევრი არ არის და ისინი თავმოყრილია, ძირითადად, სინოპის პროვინციაში. რამდენიმე სოფელია სამსუნის, დუზჯეს და თოქათის პროვინციებშიც; მარმარილოს ზღვის რეგიონში კი (ბალიქესირის, საქარიას ქოჯაელის, იალოვას, ბურსის, ბილეჯიქის... პროვინციები), როგორც აღვნიშნეთ, უმრავლესობა მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებისა კლარჯულია.

1.3.3. შავშური დიალექტი გავრცელებულია ისტორიული შავშეთის ტერიტორიაზე. შავშურ კილოში გამოყოფენ ორ კილოკავს – იმერხელსა და მაჭახლურს. საკუთრივ შავშეთს, რომელიც მოიცავს თანამედროვე თურქეთის ართვინის პროვინციის შავშათის (//შავშეთის) რაიონს, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ორ ნაწილად ყოფენ: მექართულე შავშეთი (იმერხევის ხეობის ქართულად მოლაპარაკე სოფლები, ასევე უსტამისი, ჩისისხევი...) და მეთურქულე შავშეთი – შავშეთისწყლის ხეობის უმეტესი სოფლები, რომელთა მკვიდრნი, ძირითადად, მშობლიურენადაკარგული ქართველები არიან, თუმცა მათ მეტყველებაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ქართული ელემენტი... რაც შეეხება მაჭახლურ კილოკავს, იგი გავრცელებულია მაჭახლის ხეობაში. ეს ხეობა ოსმალეთის პერიოდშიც გამოირჩეოდა გამართული ქართულით და მშობლიური ენის სიყვარულით. ხეობის ნაწილი, ზემო მაჭახელი, დღეს თურქეთის შემადგენლობაშია. იქ ექვსი სოფელია - აკრია, ეფრატი, მინდიეთი, ზედვაკე, ქვაბითავი, ხერთვისი - დაახლოებით ორი ათას სულამდე მოსახლეობით. საშუალო და უფროს თაობაში

ქართული ენა და, შესაბამისად, მაჭახლური კილოკავი კარგადაა შენახული.

შავშური კილოს გავრცელების არეალი, მსგავსად სხვა სამხრული დიალექტებისა, მუჰაჯირობის შემდეგ, საგრძნობლად გაფართოვდა შავში და, განსაკუთრებით, მაჭახლელი მუჰაჯირების სოფლების ხარჯზე თურქეთის სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ, ორდუს, სამსუნის, სინოპის, ამასიის, თოქათის, ქასთამონუს, ბურსის, საქარიას, იალოვას პროვინციებში შავში და მაჭახლელ მიგრანტთა ოთხმოცამდე სოფელია. მათ შორის უმეტესი (სამოცამდე სოფელი) - მაჭახლელებისა.

1.3.4. ტაოური კილო გავრცელებულია ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში – ტაოში, რომელიც დღეს თურქეთის საზღვრებშია. **ტაოში**, ოთხი ქართული სოფელია პარხლისწყლის აუზში. ხევაი, ქობაი და ბალხი - ელიასხევის დასახლებებია - მთელ ხეობაში გაფანტული უბნებით. უფრო ქვემოთ, პარხლისწყლის პირასაა ვანისხევი, რომელშიც ორი ქართულენოვანი უბანია - ჭილათი და მახათეთი. აქვე უნდა ვახსენოთ სოფელი ბინათიც, რომელიც აღნიშნული ტერიტორიიდან მოშორებით, ართვინსზედა სივრცეში, ტაოსა და კლარჯეთის პირობითი საზღვრის მიდამოებში, ჭიმჭიმთან ახლოს მდებარეობს.

თურქეთის შიდა რაიონებში, მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებში ტაოელი ქართველების კვალი ნაკლებად შესამჩნევია. ჭოროხის აუზის ეს ნაწილი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში რჩებოდა რუსეთის კავკასიაში დამკვიდრების შემდეგაც. მხოლოდ მცირე ხნით, პირველი მსოფლიო ომის დროს, დაიკავა რუსეთმა მთელი ჭოროხის აუზი. ტაოელები - პარხლელ და ბინათელ - გადასახლებულთა შთამომავლები ვნახეთ მარმარილოს ზღვის რეგიონის საქარიას პროვინციის აქიაზის ილჩეს სოფელ შერეფიეში (Şeref'ıye), რომელიც მე-19

საუკუნის ბოლოს უნდა იყოს დაარსებული ქართველ მუჰაჯირთა მიერ. გარდა ამისა, შავი ზღვის რეგიონში ამასიის პროვინციის სულუოვას რაიონში არის სოფელი ქილიჩარსლანი (Kılıç-aslan), რომელშიც, სოფელ ბალხიდან გადასახლებული ქართველების ათიოდე ოჯახი ცხოვრობს. ბალხელთა გადასახლება თურქეთის შიდა მიგრაციული პროცესების შედეგია. ისინი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ჩასახლებულან სულუოვაში.

როგორც შერეფიეში, ასევე ქილიჩარსლანში მცხოვრებ ტაოელებში ქართული ენის ხსოვნა იმდენად მწირია, რომ შეუძლებელია საანალიზო მასალის მოპოვება დიალექტზე დაკვირვებისათვის.

1.3.5. ქართული ენის ცოდნის ხარისხი თურქეთის ქართველებში. მთელ თურქეთში ქართული ენის შესახებ ზოგადად შეიძლება ითქვას: ა) საგრძნობლად გაღარიბებულია ლექსიკა; ბ) ლექსიკაში გაზრდილია თურქიზმების წილი; გ) იშვიათად შეხვდები ახალი თაობის წარმომადგენელს, მშობლიური ენა რომ იცოდეს. საუკუნეთა განმავლობაში თაობათა ცვლის პროცესი განაპირობებს მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობებსაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე თურქეთის კანონმდებლობით, ნაციონალური უმცირესობებისათვის ნებადართულია სკოლებში მშობლიური ენის, როგორც არჩევითი საგნის, სწავლება. ეს სულ ახალი ამბავია: 2014 წელს საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის მარადიდელ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელში, ნურუოსმანიეში, გაიხსნა ორი ქართული კლასი (მასწავლებელი - მუსტაფა ქოლათი). 2015-2016 სასწავლო წლისთვის ქართული ენის კიდევ ორი ჯგუფი გაიხსნა მურღულის (ართვინის პროვინცია, მურღულის რაიონი) სკოლაში. მასწავლებელია ფათიჰ მეიდანნი (ცვარიძე).

თურქეთის განათლების სისტემის მნიშვნელოვანი სიახლე - ნაციონალურ უმცირესობათა ენების სწავლება არჩევითი საგნების ფარგლებში - ნელ-ნელა და მძიმედ მკვიდრდება - ჯერჯერობით მხოლოდ ორ სკოლაში გამოჩნდნენ მსურველები. პროცესის დაჩქარებას, მასწავლებლების და სახელმძღვანელოების დეფიციტზე რომ არაფერი ვთქვათ, მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი უშლის...

თავი II. სახელის ფუძეთქმნადობა სამხრულ კილოებში

2.1 სახელთა ფუძეების ზოგიერთი თავისებურება. ჰოროზის აუზის ქართველთა მეტყველებაზე დაკვირვება ფუძეთქმნადობის რამდენიმე ტენდენციას გამოავლენს.

კლარჯულში, შავშურში, აჭარულსა და ტაოურში საკმაოდ ხშირად გვხვდება სახელის ფეუმის საწყისი ბგერის დაკარგვის შემთხვევები:

...**თაზე** (<მთაზე) არ მივალ, აქ მოვალ-და (დევესქელი); **ბედან** (<რძისგან) გავაკეთავთ მაწონი... (ჯივანი); ესე **თავრობის** (<მთავრობის) ადგილი იყო (ბუჯური); **პილენძის** (<სპილენძის) ქარხანა იყო (ბუჯური);

ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება შეგვხვდეს როგორც საწყისი ბგერის გარეშე, ასევე ნორმის მიხდევითაც. მაგ: თიფლისიდან **რძალი** მოიდა (ჯივანი), ჩემი ძეგნის ბიჭს ყავს თიფლისიდან **ძალი** (<რძალი)(ჯივანი);

შედარებით იშვიათად გვხვდება მსგავსი ფორმები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების და ტაოურ მეტყველებაში:

შვილდისრის (<მშვილდისრის) რკალს გააკეთეფ (კაბაქდალი); რომე გააღვიძა შოფერი, **თვარე** (<მთვარე) დაბლა დარჩაო (თახთაბაში);

ვიციოთ **თუარე** (<მთვარე), **ზე** (<მზე) **ზითულიც** (<მზის თვალი) ვიციოთ (ქუაბაგი); ახლა **თავრობა** (<მთავრობა) მოვდა, მექთეფი გახსნა (ქუაბაგი);

ასევე აღსანიშნავია ისეთი ფორმები, როდესაც ბგერა დაკარგულია, მაგრამ არა საწყისი:

წყალ მამხაპებდა, **სახში** (<სახლში) შეიყვანდა (ჯივანი); მე **ბადვი** (<ბავშვი) არ მეყოლა და დასახლდა (მერჯიმექდუზი); წვრილ **ბოვშები** (<ბავშვები) წევდოდესო (ელიასხევი); თევზს შეწვიდენ **ნიგზის** (<ნიგვზის) ჟვერში (თახთაბაში);

სამხრულ კილოებში გვაქვს შემთხვევები, როდესაც სახელის ფუძეში ო-ს ნაცვლად გვხვდება ვ ბგერა:

ბიჭებმა **გოგვებს** (<გოგოებს) გამუთქმიდენ (ჯივანი); **გოგვები** (<გოგოები) ორი ისტამბულ არიან (შავშეთი)...

სამხრული კილოებისთვის დამახასიათებელია ისეთი ფორმები, როდესაც ფუძე არ არის შეკვეცილი ან შეკუმშული ისეთ სახელებში, სადაც ჩვეულებრივ ხდება კვეცა ან კუმშვა. ასეთი ფორმები ძირითადად დამახასიათებელია კლარჯული კილოსთვის, თუმცა, მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა სამხრულ დიალექტში.

ცივ **წყალით**'ნა (<წყლით) დეიბანო... (მერჯიმექდუზი); ჩვენამდე **სომეხები** (<სომხები) ცხოვრობდენ (დუაიერი); **აჭარადამ** (<აჭარიდან) მოსული იმათი ქართულეც ცოდნათ (ელიასხევი)...

ზოგჯერ გვხვდება ისეთი ფორმები, როდესაც ბგერები გადანაცვლებულია ან ჩამატებულია ზედმეტი ბგერა.

დაქვილია **ქვილსავენ** (<ფქვილსავით) მივა (ბუჯური); აქიდან **ზრუგში** (<ზურგში) და **ზრუგის** (<ზურგის) თერეფის პერანგი ზედ ჩაწვილიყო (მერჯიმექდუზი); ერთი ემეა მოი-დოდა, **თიფლისიდან** (<თბილისიდან) იყო (შავშეთი)...

ტაოურში მსგავსი შემთხვევები არ მოიძებნა.

სამხრულ მეტყველებაში საკმაოდ ხშირია ფონეტიკურ საფუძველზე ერთი ბგერის შეცვლა სხვა ბგერით:

დოდოფალს (<დედოფალს) ხელზე დაადებენ აგზე, ხელის გულზე (ადაგული); სხალი ვერ ვჭამ, კადა, მწყენულობს, **შექერი** (<შაქარი) მაქ (ჯივნი); **ყურზენი** (<ყურძენი) ფენა მოდიოდა, ახლა აღარ მოდის (უსტამისი); აქ დადიოდენ **მაჭებლელები** (<მაჭახლელები), გობები მაქედენ (უბე); **ჯიფეში** (<ჯიბეში) არ გუჟერდება (ფაცა); ბევრი **ხალდი** (<ხალხი) იქნებოდა (ელიას-ხევი);

2.2 ზედსართავი სახელი და სიტყვათწარმოების ზოგიერთი თავისებურება

2.2.1. **მქონებლობის სახელები.** მქონებლობის სახელები იწარმოება –*იან* და –*ა* სუფიქსებით:

–*იან*: გაალო დოლაბი, რომ **თოფიანი** დგას შიან (კირნათი);

– *იან* **შეიძლება დაერთოს თურქულ ფუძესაც: ყაბულიანი** (თ. kabyk – ქერქი) – ქერქიანი: თხილი გვაქ... თხელი **ყაბულიანი** (იბრაქლი)...

საინტერესოა, რომ მქონებლობის სახელები თურქული სუფიქსითაც იწარმოება ხოლმე. მაგალითად, ქართულ –*იან* სუფიქსს მნიშვნელობით უტოლდება თურქული –**ლი** (-li) სუფიქსი. იგი შეიძლება დაერთოს როგორც თურქულ ფუძეს, ასევე - ქართულს: **ბერეკეთლი** (თ. bereket – ხვაჯი, ბარაქა) – ხვაჯიანი, ბარაქიანი: მემრე ასლული **ბერეკეთლი** კეთდება (დევსქელი).

–*ა* სუფიქსი აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ცხოველთა, მცენარეთა სახელებს. აღნიშნავს ამა თუ იმ თვისების მქონებლობას, რომელიმე ნიშნის მიხედვით რაიმესთან მსგავსე-

ბას: ჩემი **შავია** გაზდილა, კოლექტურში მუშაობს (კირნათი). **შავია** ხარის სახელია.

–*ა* სუფიქსით იწარმოება სხვადასხვა ზედსართავი: **ძირა** (=ძირს ჩამოყრილი, ჩამოცვენილი) ვაშლი ვის მიაქვან, ჭო? (მარადიდი); **უკანა** (=შემდეგი, მომდევნო) არ ვიცი (ჯივანი); ბაშქო და **უკანა** სოფლის ჰუდუდია (დევსქელი). იგულისხმება ბაშქოას უკან მდებარე სოფელი.

2.2.2. **უქონლობის სახელები.** ქონების სახელთა ანტონიმი - უქონლობის სახელები აღნიშნავენ ძირეული ფუძით მითითებული საგნის უქონლობას.

უ-ო უქონლობას აწარმოებს: **უდერდო** ჰიჩ ვინმე არ იქნება (ხება). **უმაღლო** ვერ დავმდგარვარ (ჩაქველთა).

ქართულ უ-ო თავსართ-ბოლოსართს მნიშვნელობით უტოლდება თურქული –**სუზ** (siz) – და გამოხატავს უქონლობას: **რაჰათსუზი** (თ. rahat – მოსვენება, სიმშვიდე) – არაჯანმრთელი, სუსტი, უჯანო: **რაჰათსუზი** – ავაღველი ვარ (ერენქი)...

2.2.3. **წარმომავლობის სახელები.** წარმომავლობის სახელებს აწარმოებს –*ელ*, –*ურ*-*ულ*, –*დელ* სუფიქსები.

–*ელ* ჩვეულებრივ აღნიშნავს ადამიანთა წარმომავლობას, სადაურობას, –*ურ* სუფიქსი კი – **რა** ჯგუფის სახელებისას.

–*ელ* (>–*ალ*): **მაჭახლეელი** ხოჯა მყავან (ჯივანი); **ბურსელია**, მუსაფირი იყო (გურბინი);

–*ურ*|-*ულ*: ჩვენი, **აქვერი** (<აქავრი<აქაური) ჩაია, **თურქული** (ისკები);

თურქული **ჯი|ჯე|ჯა|ჩა|ჩე** ქართული –*ურ*|-*ულ* აფიქსების შესაბამისია. **გურჯიჯა|გურჯიჯე** (თ. g rc – ქართველი) – ქართულად: **გურჯიჯა** წერავს (ისკები);

აფიქსური წარმოების პარალელურად სადაურობა ზოგჯერ აღნიშნება შესაბამისი ძირეული სახელით, უაფიქსოდ:

მეა *მურღული* [რ]ძლები მყავ (დევესქელი); ხოჯა ჩემი *მაჭახელია* (=მაჭახლეელია) (ჯივანი); შდრ. ეს *მურღულიელია* (ეს-კი ფერადიე).

მურღული, მაჭახელი... წარმომავლობის მნიშვნელობით ენის ცუდად ცოდნით უნდა აიხსნას.

2.3 რიცხვითი სახელის წარმოების ზოგიერთი თავისებურება. თურქეთელი ქართველები უმეტესად იყენებენ თურქულ რიცხვით სახელებს. ქართულად დათვლა უჭირთ, განსაკუთრებით, პირველი ათეულის შემდეგ. მიუხედავად ამისა, არსებულ მწირ მასალაზე დაკვირვებაც გამოავლენს სამხრული დიალექტების ზოგიერთ თავისებურებას.

ერთი სამხრულ დიალექტებში, ძირითადად, ჩვეულებრივ წარმოითქმის, თუმცა, ზოგჯერ „რ“ იკარგება და ისმის **ეეთი**: **ეეთი** გოგო მყავს და (დამუდერე)... (**რ**'ს სამაგიეროს წინამავალი ხმოვნის დაგრძელება, ე.წ. სამაგიერო სიგრძე). ეს ფორმა განსაკუთრებით შესამჩნევია ქედის რაიონიდან გადასახლებული მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში (მაგ. გირესუნის პროვინცია და სხ.).

რიგობით იშვიათად გვაქვს **მეერთე**. უფრო ხშირია **მიერე** (**ამეორე**). ხშირია ბგერათა გადასმის, ზოგჯერ ჩანაცვლების მაგალითები: **მეერთე** არა, **მევრე** (<მეორე) არა, მესამე'და გამეარო (ისკები); **მიერე** (<მეორე) დღეს ყველამფერი დაავიწყდებოდა (მარადიდი); **ოცდაექსი** (<ოცდაექსი)წელიწადი ვიმუშავე (ზაქ.); შვიდი, **ვრა** (<რვა) წელიწადია (ხევწრული); **ვორ-სამ** (<ორ-სამ) წელიწად უარე, მემრე გავთხოვდი (ქორგანი); ერთი ათი ცალი იქნება თუ **ფშვიდი** (<შვიდი), ათი, **ათდაორი** (თორმეტი), **ათიდასამი** (ცამეტი), **ათიდაოთხი** (თოთხმეტი), **ათიდახუთი** (თხუთმეტი), **ხუთმოცდაათი** (ორმოცდაათი), **ექვსმოცი** (ასოცი), **შვიდმოცი** (ასორმოცი), **რვაოცი** (ასსამოცი), **ათოცი**

(ორასი) ... ტაოურში, იშვიათად სხვა კილოებშიც შენახულია ოცობითი თვლის სისტემა, რაც საყურადღებო ფაქტია.

2.4. ნაცვალსახელი. გავრცელებულია **ისა**: ჩემი ახრაბა არი **ისა** (ჩაქველთა); იმგვარი გერმელია **ისა**, ქი (ზაზგირეთი).

ი ბოლოკიდურიანი იშვიათია: სერზე **ისი** არი ... დუზია (ჩაქველთა).

ისი იშვიათია **ც(ა)** ნაწილაკთანაც: ახლა **ისიც** აღარ მყავს (უსტამისი).

აჭარულში კითხვითი ნაცვალსახელი **რა**, მსგავსად ძვ. ქართულისა, სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში არ იკვეცს ბოლოკიდურ ფუძისეულ **ა-ს**. მაგ.: **რამს** ჩლუქია? **რადთ** ჭრი? რა ვარ, **რამს** მქნელი.

პირის ნაცვალსახელები „**უნდა**“ ნაწილაკის **ნა** და **და** ელემენტებთან შერწყმული გვხვდება: **მე'ნა**, **მე'უნდა**, **მე'და** („მე'ნა წევდე“): **ის'ნა** მოვკლა ცემაში, **შე'უნდა** („შენ და (შენ უნდა) მოკწერო“), **ისინი'უნდა** (ისინი'და წეიყვანონ), **მე'და** წევდე...

თავისებურება ახასიათებს ჩვენებით ნაცვალსახელებს: **აგი**, **მაგი**, **იგი**. მრავლობითის ყველა ბრუნვაში სახელობითის ფუძეა გამოყენებული, ხოლო მრავლობითის გამოსახატავად **ნ** სუფიქსი: **აგინი**, **მაგინი**, **იგინი**, გვხვდება **აგინები**, **იგინები**, **მაგინები**... ფონეტიკური სახესხვაობებით.

ეს, **ის** ჩვენებითი ნაცვალსახელები, როგორც რიგ სხვა დიალექტში, აქაც თანხმოდანმოკვეცილი ფორმითაა: **ი** გომბიო, **ე** კაცი...

თავი III. სახელის ბრუნება, ბრუნვათა ფუნქციები და რიცხვის წარმოება სამხრულ კილოებში

3.1. სახელი. შინაარსობრივი თვალსაზრისით, ცნება-ტერმინი „სახელი“ აერთიანებს სემანტიკურად არაერთგვაროვან რამდენიმე ლექსიკურ ჯგუფს (ერთი მხრივ „საგანი“, მეორე მხრივ - „თვისება“, მესამე მხრივ - „რაოდენობა“...);

კიდევ უფრო განსხვავებულია ენობრივი დანიშნულება იმ განზოგადებული შინაარსის სიტყვებისა, ყველა ამ ჯგუფის ჩანაცვლება რომ შეუძლია.

ყველა სახელი იბრუნება. ბრუნება სახელთა საერთო კატეგორიაა. ასევე, მათ აქვთ რიცხვის კატეგორია.

3.2. სახელის ფუძე. ფუძეთა მიხედვით სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი, მაგრამ სამხრულ კილოებში ზოგიერთი არსებითი სახელი ორგვარი ფუძითაა წარმოდგენილი: **თუთა//თუთი**: ბალი მიყვარს, **თუთა** - არა (ხევწრული); აქ დაჰა ბევრია **თუთი** (სვირევანი);

აღნიშნულის გარდა, სამხრულ კილოებში გამოვლინდა ორმაგი დაბოლოების სახელური ფუძეები: ჯინჭველ'ი||ჯინჭველა, წამწამ'ი||წამწამა, ჭარხალ'ი||ჭარხალა, წვერი||წვერა, ბაბა||ბაბო, ბაჯი||ბაჯო, ქილისა||ქილისე, შოშ'ი||შოშე, ანნე||ანა, ქოლა||ქოლე, ქოშა||ქოშე...

მოპოვებული მასალა შეიძლება რამდენიმე ჯგუფად გაიყოს:

- ა. ფუძის ბოლოს, აუსლაუტში მონაცვლეობენ ხმოვნები;
- ბ. ფუძის ბოლოს, აუსლაუტში მონაცვლეობენ ხმოვნები და თანხმოვნები.

ცვლილება მოუდის როგორც ნასესხებ, ისე ქართულ ფუძეებს. ფუძის ორგვარი ვარიანტით წარმოდგენა სამხრული კილოების სახელის ფუძისქმნადობის ერთ-ერთ ნიშნად უნდა

ჩაითვალოს. სახელის ფუძის ორ ვარიანტად წარმოდგენის საფუძველი ფონეტიკურია, თუმცა ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა საფუძველიც შეიძლება დაიძებნოს.

3.3. ბრუნვის ნიშნები, ბრუნვათა თავისებურებები. ბრუნვის ნიშნების მხრივ სამხრულ კილოებში ბევრი თავისებურება არ ჩანს.

სახელობით ბრუნვაში ერთმანეთს ენაცვლებიან უნიშნო (ნულოვანი ალომორფით წარმოდგენილი), **ი** და **ე** (<ი) ნიშნიანი ფორმები. თანხმოვანფუძიან სახელებთან თითქმის ყველა შემთხვევაში გვხვდება ჩვეულებრივ სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი, თუმცა, ტაოური კილო განსხვავდება დანარჩენებისგან და თანხმოვანფუძიანი სახელები უმეტეს შემთხვევაში გვაქვს ფუძის სახით, რაც ძველი ქართულის წრფელობითს უტოლდება (მიწის ქვეშ სამი თანე **გზა** არი (აგარა); **მიგარაე** გინდა, მოუკიდებ (ჩაქველთა); **ბაბოეც** ხუჯუზი მყავდა (ბაზგირეთი); აქ **ჩემ კაცი**, **ერთი ბიჭი**, გოგო გათხოვილია ანკარას (ბაგინი); **ჩემი შვილი** შოფრობას იჯება (ქლასკური)... **წვრილ ბოვშები** წვედოდესო; ქვეით მეტი **ხალხ** არ ყოფილა (ელიასხევი)).

მიცემითი: სამხრულ კილოებში მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა ფონეტიკური მოვლენა, რაც ცოცხალი ქართული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი.

ხშირია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა, განსაკუთრებით თანხმოვანფუძიან სახელთა მხოლოდობით რიცხვსა და – ებ'იან მრავლობითში. მნიშვნელობა არა აქვს, სახელი ზმნასთან შეწყობილი პირია თუ გარემოება: **ჩემ შვილ** ჰამერი ყავს (ბაზგირეთი); **სიმიინდ** ვთესავთ, **ქერ** ვთესავთ (ბაზგირეთი); იქ გაზრდილა, **მურღულ** (უსტამისი); დუგუნზე **ქათამ** გავაკეთავთ, დავდებთ, ხორცი **საჭმელ** გავაკეთავთ, დავდებთ...(ბაშქოი); იმ **კაცებ** გუუგზავნია; **ბიჭებ** უნახიან კი თოვლი (ელიას-

ხევი); დედამთილი **ბახშიშ** მიცემდა, ახდიდა, აამრობდა საბურავს (თახთაბაში)...

ჩანს, თანხმოვანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა საერთო მოვლენაა სამხრული კილოებისთვის. მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება მთელს სამხრულ მეტყველებაში. თუმცა, კლარჯული და აჭარული მეტყველებისათვის შედარებით უფრო ნაკლებადაა დამახასიათებელი მიცემითი ბრუნვა ფუძის სახით. კლარჯულში უფრო ხშირად გვხვდება ასეთი ფორმები: აქ **ჩემი დედეს** წისქვილი ქონდა (ქლასკური)... რომ **ნიშანი** წეილებდენ (ბაშქოი);

იშვიათად **ს** იკარგება ხმოვანფუძიანებთანაც: **სიძე** (<სიძეს) თქვენ რას ეტყვი? (ჩაქველთა); გურჯიჯა **ქუფელა** (<ქუფელას „ყურის ბიბილო“) ებნებიან (ზიოსი)...

ხმოვანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა უფრო შავშურ კილოში შეინიშნება. სხვა დიალექტებში შედარებით იშვიათად დასტურდება. ამდენად, იგი ვერ ჩაითვლება საერთო მოვლენად სამხრული კილოებისათვის.

სამხრულ კილოებში გვაქვს ფორმები, როდესაც მიცემით ბრუნვაში სახელებს დართული აქვთ სავრცობი –ა. უფრო მეტად ეს მოვლენა დამახასიათებელია შავშურისათვის: ფათერი აქ თავზე იმ **კაცსა** (ხოხლევი); ჩუენსა მექთუბ ეტყვიან **საწერავსა** (ხოხლევი);

ნათესაობითი: იშვიათად გვაქვს შემთხვევები, როცა ნათესაობით ბრუნვაში სახელები ფუძის სახითაა წარმოდგენილი (ძირითადად შავშურსა და აჭარულში): დათვ ყურში უთქუამს კაცისთინ: –**დათვ** მუუკლელი ყაჰმ ნუ დაგრეხავო (შოლტისხევი); **ხალხ** პარტიებმა ასე ქნესო; იმ სოფელში **შექერ** ფაბრიკაჲ გავაკეთეთ (თახთაბაში)...

იკარგება ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული –ს მსაზღვრელ სახელებში, თუმცა, ეს მოვლენა ძირითადად შავშური კილოსათვის არის დამახასიათებელი: გერმელი ჭადი იყო **სიმინდი** ფქვილისა (აგარა); **თუთი** ბექმეზ მუადულებენ (წეთილეთი)...

პარალელურად დადასტურდა ფორმები, სადაც შენარჩუნებულია ნათესაობითის ბრუნვისნიშნისეული **ს:** ყრალი სული უდინს **ანწლის** ფურცელ (მანატბა); ყართოფ **ყანის** ქენერზე ვთესავთ (უსტამისი); **ფურის** ძალინა დაასხა (დამუდერე). შდრ. გურ. **გოჭის** ვწვავ...

ხმოვანფუძიან სახელების უკვეცელ ფუძეებში ნათესაობითში ზოგჯერ არის **ფ**, ზოგჯერ – არა: **ანაჲს** კაცი ჩემი ემოჲ იყო (მაჩხატეთი); ჩემ **ბაბოს** ხიზმეთქობას ვიზამ (ბაზგირეთი); ჩამუელ ჩემ **ბაბოს** სახში (ბაზგირეთი); ლიბანი ჩემი **ანას** მაჰალეა (აგარა); **მერიემას** ჯინსიდან არიან (მაჩხატეთი)..

ნათესაობითი ბრუნვის ფორმები წარმოდგენილია ასევე სავრცობი –ა'თი. ასეთი შემთხვევები დასტურდება ძირითადად შავშურში, იშვიათად კლარჯულში: ერთი **ლაზისა** ზროხა ავათ გამხდარა (შოლტისხევი); გერმელი ჭადი იყო **სიმინდი ფქვილისა** (აგარა); **ყურძენისა** ახლა წყალი გამეილე-თუ (ქლასკური)...

აღსანიშნავია, რომ ერთმანეთის პარალელურად წარმოდგენილია შეკვეცილი და შეუკვეცავი, შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები. მოვლენა მეტ-ნაკლები ინტენსივობით გვხვდება ყველა სამხრულ კილოში. ფაქტი ახსნას საჭიროებს. უპირველესად პასუხს მოითხოვს კითხვა: სამხრულ მეტყველებაში შეუკუმშავი და შეუკვეცილი ფორმების სიხშირე ხომ არაა ნიშანი იმისა, რომ რედუქცია შესუსტდა სამხრულ კილოებში? თუ ეს ასეა, რაა მიზეზი? შეიძლება გვეთქვას, რომ აღნიშნული ფაქტი თურქული ენის გავლენის შედეგია, ენისა,

რომლისთვისაც სრულხმოვნობაა დამახასიათებელი. თუმცა, თურქულის გავლენის მიზეზით ახსნა შექმნილი სიტუაციიდან „გამოსავალი“ მხოლოდ, მაგრამ არასაკმარისი. მოვლენის მიზეზი ქართული ენის ბუნებაშიც უნდა ვეძიოთ. ამდენად, მოვლენა გამოწვლილვით ანალიზს მოითხოვს, ვიდრე რაიმეს გადაჭრით ვიტყვოდეთ.

სახელობითის ფორმითაა წარმოდგენილი ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები (უმეტესად ე ხმოვანზე), რომელთაც თანდებულთა ფუნქციით ერთვის ზმნიზედები. ასეთი სახელები გამოხატავენ მოქმედების ადგილსა და დროს: [გზა] **მალრა ქვეშ** გაჭრილია, ჰამა ჩაწვა (სვირევანი); შეხვალ **დელე გაღმა**, ჰო (ზენაგარა)...

გვაქვს ასევე მაგალითები, როცა ბრუნვის ნიშანი სრულადაა წარმოდგენილი:

ეს არის **იმერხევის გადაღმა** (ზენაგარა); აილა ზევი აქვთ, **კარჩხალის** ჰამან **უკნედან** (ჩაქველთა); ამ **გზის ზემოთ** სერში არის (ჩაქველთა); აგზე ჩეიყვანე, **ხის ქვეშ** ჩააგდე (ხევწრული);

მოქმედებითი: სამხრულ მეტყველებაში მოქმედებით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებში ყოველთვის გვაქვს ბრუნვის ნიშნად –ით ან ათ: აინი კარისავეფ **მენტეშეთ** ჩამოვკვიდავთ (წეთილეთი); ქვედან მიმყავდენ **ვირით**, **ცხენით** (ხება); სხვისი **ხელით** გველი დეჭირე (დეუაიერი); პატარა **გემებით** გამეყვანეს, პორტი არ იყო (ფაცა)...

ვითარებითი: ვითარებით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნად გვხვდება –ათ (<ად): ის ზალლიც მოიდა, შორიდან **სხუაფრათ** გვიყურებს, **სერთათ** (ხოხლევი);

ქობულეთელი მუჰაჯირების მეტყველებაში გვხვდება როგორც –ათ, ისე –ად, გვაქვს შემთხვევები, როდესაც –დ დაკარგულია: **ქართულათ** სიმღერები თქვა – ბაუჟაძე იყო ახმედაჲ (თახთაბაში); ნური გუნდუზი, ფეჰმი პირველი იყო

გერმანიაში წევდა **მასწავლებლად**; ლოცვის დროს **ქართულად** ლაპარაკობდა (თახთაბაში); ჩემი დიდნენჲ **ქართულად** დეველაპარიკებოდით, ბაბამ **ქართულა** წერა იცოდა, დედა-მაც (დეუაიერი)...

ასევეა კლარჯულშიც: **გურჯულად** წერვა არ იყო (სუდე-რე); იმა ლობიას **ლამაზათ** დავხეხავთ, ჩავჭრით თენჯერეში (სუდე-რე); აჭარადს სოფლები დაჰა **კარქა** ილაპარიკებენ (დეუაიერი)...

ტაოურში გვხვდება ძირითადად –ათ/თ: **ძველათ** აქა არ უთოვლებია (ელიასხევი); აქ **ქართულათ** არ ლაპარიკებენ (ცუცეკარი)...

წოდებითი: ანავ, ეს აკვანი დავწუათ–მეთქი (დიობანი); **ბერო**, ერთი იკითხე ლოცვები, კაი გახდესო (მაჩხატეთი); ვიდერდე ვიყავ... **ხატიჯევ**, დევთესევით ბითევი თურქიეში (წეთილეთი); **ცხენო**, იალი შენ შექამე? (შოლტისხევი); **ილიასავ**, ვირი დავკვარგე, ხომ არ დიგინახავსო(იფხრეული) (შავშური)...

საინტერესოა წოდებითის ფორმები - **იმავე, იმანო**. ასეთი ფორმების ამოსავლად, ცხადია, ითვლება მოთხრობითი ბრუნვის ბოლოხმოვნისანი ფორმები – **იმა, იმან: ამავე...**

3.4. ერგატიული კონსტრუქციისათვის სამხრულ კილოებში. ქართული ენის სამხრული დიალექტებისთვის (უმეტესად შავშურისა და კლარჯულისათვის) დამახასიათებელია როგორც ძველი, ისე თანამედროვე სახე მოთხრობითი ბრუნვის წარმოებისა. შეიძლება ვისაუბროთ ერთგვარ გარდამავალ ფორმებზეც, მხედველობაში გვაქვს –მა ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან სახელებში.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისებური წარმოება დამახასიათებელია როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვან-ფუძიანი სახელებისთვის, ასევე ნაცვალსახელებისთვის:

ფაქიზომ გულში ჩოუგდო (აგარა); **ჯინჭველამ** რა'ნა გააზღოს, იშტა, იმან ჭამოს (ბაზგირეთი); **მამამთილმა** 'ნა ააყენოს, ერთიც იმის ახლომ, მამამთილის ბაბომ (ხოხლევი); ზეჰირი ასუა **იმან** ემრულ ადას და ისე მოკდა (ნიოლეეთი); **ახლებმა** არ იციან (ელიასხევი); **ერთმა** მითხრა ამ გოგოს ვუყურავო (ქლასკური); **ბაბამ** ცეცხლი დააქრობია-ჰო? (კირნათი);... შენ გაგაფაქა **ღმერთმა**, გაფაქდი! (თახთაბაში); **ათათურქმა** იგინი გააგზანა აქეთ (ფაცა)...

შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება სახელები მოთხრობით ბრუნვაში -**მან** დაბოლოებით: დეიჭირა **დათვმან**; **დრომან** გედეაძრა (ბაზგირეთი); **ძველებმან** იცოდენ (აგარა); **ბაკალამან** და ბაღანამ მეფონა (მანატბა)...

ერგატიულ კონსტრუქციებზე საუბრისას ყურადღებას იქცევს ისეთი ფორმები, როცა გვაქვს შეთანხმება ფუძის სახით მოთხრობით ბრუნვაში: სიზემ, **ჩვენ** თოღამა ხარი ეიყვანა (ბაზგირეთი); ვინ მოქსოვა? **ჩემ** ხელმა, ორი ჩიფთი მაცვია და კიდევ მცია (ბაზგირეთი)...

სამხრულ კილოებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მკრთალად გამოხატული ტენდენცია, რომელიც სისტემატურია კლარჯულში, კერძოდ, ლივანური მეტყველებისათვის.

პროფესორი მერი ცინცაძე მიუთითებს შემთხვევებზე, როცა გარდაუვალი ზმნა წყვეტილში სახელს მართავს მოთხრობით ბრუნვაში: ეიწია **ყანამ** რამტონი ხანია; **ბაღანამაც** მიტრიალდა და წევდა... ნაკლებად, მაგრამ მსგავსი კონსტრუქციები შავშურისათვის და სხვა სამხრული კილოებისთვისაც არის დამახასიათებელი: **კიტრმა** ასე ბევრი მოვდა; **ბერმა** გაბღეზდა...

კირნათ-მარადიდის მეტყველებისათვის სპეციფიკური ისაა, რომ ზმნა სახელს მოთხრობით ბრუნვაში მართავს პირვე-

ლის სერიის მწკრივებშიც: **ბაღნებმა** არ ეპატრონებთან მის სახლს; **ფიქრიემ** ტირის, ბაბამ მომკლისო...

მარადიდული მეტყველების ამ სპეციფიკურ თვისებას მკვლევრები ლაზური ენის ინტერფერენტულ გავლენად მიიჩნევენ (სურმავა). სხვა მოსაზრებით (მ. ფაღვა, მ. ცინცაძე და სხვანი) სამხრულ კილოებში (სხვა კილოებშიც) ანალოგიური ფორმების პოვნისთვის ეჭვქვეშ აყენებს ლაზურის გავლენის საკითხს ლივანურ და, შესაბამისად, კლარჯულ მეტყველებაზე.

3.5. თანდებულის ბრუნვები. თანდებულთან დაკავშირებით სამხრული კილოები ბევრ საერთოს ავლენენ.

თანდებულის ზმნისართზე დართვის შემთხვევები, საზოგადოდ, უცხო არ არის და ისტორიულად ჩანს დამახასიათებელი ქართული ენისათვის. მეტიც, შესაძლოა, პირველად ზმნიზედანზე თანდებულის დართვა უძველესი ვითარების ამსახველი იყოს. ამასთან, შესამჩნევია, რომ უმეტესწილად თანდებული დაერთვის ადგილისა და დროის ზმნიზედებს. ამ ფაქტში უნდა ვეძიოთ თვით თანდებულის ფესვები.

ამდენად, გასაკვირი არაა, რომ ზემოხსენებული შემთხვევები ბუნებრივია სამხრული კილოებისთვისაც, თუმცა, ცხადია, აქ თვალშისაცემია სწორედ ამ კილოებისთვის დამახასიათებელი ფორმები: **იგზემიდან** არ არი პეტროლ (წეთილეეთი); თელგან ისეა, **თელგან** (ზიოსი); მარტო ჩვენი აილის **იქეთი-დამ** და ხემწრული აილის **უკნედამ**... იმას **წინედამ** თორმეტი ცალი თექი არი... (ბაზგირეთი); წვიმის წვეთი **აგზე** დემეცა, ჰა (ქედა); **იქში** იყო ... (ერგე)...

-**კენ** თანდებული ხშირად **კე**'ს სახითაა. **აქეთვე** ხართ თქვენ (ბაზგირეთი); **პარხლისკე** მიხუალთ? (ელიასხევი)... წიმიყვანეთ **მშობლისკეო** (ელიასხევი)...

თვის თანდებული შავშურსა და აჭარულში დასტურდება -თვინ//თინ ფორმითაც: კარებ ვაკეთებ... **ფუტკრებისთინ**

(ბაზგირეთი); **ბაღნისთვინ** მინდა, არ მომატყვილო (ორთა-ბათუმი); **ჩემთინ** ხომ არ ვაკეთეფ, **თქვენთინ** მინდა (მახო)...

თვის ვარიანტი იშვიათია. ზოგჯერ –**თვის** თანდებულის ბადალი ნანათესაობითარი ვითარებითის **-იზდა|იზა** ფორმა, **ბალიზა** ამხელა ხეზე ეისლება? მარტო **მიზდა** უნდა ყველა-ფერი... (ორთაბათუმი);

სამხრული კილოებისთვის დამახასიათებელია **დან** თან-დებული: **ბათომიდან** წამოსულან პირველათ ბურსას (ბელ-დიბი)... **დან**'ის პარალელურად იხმარება **დამ**'იც: **იქიდამ**, აბა, ასე იქითა **ღელიდამ**, ამ ჩვენი სოფლის **გაღმიდამ** ღელე არის (ხოხლევი)...

-დამ (<დაღმე) გვხდება ქართული ენის ბევრ დია-ლექტში, დასტურდება საშუალი ქართულის ძეგლებში. ჩანს, იგი ცოცხალი მეტყველებიდან შევიდა სამწერლობო ენაში. გამომდინარე აქედან, სალიტერატურო ენაში იგი დიალექ-ტიზმად შეიძლება ჩაითვალოს.

-ში თანდებულს ზოგჯერ შიგან ზმნიზედაც ახლავს და გვაქვს ერთგვარი ტავტოლოგია: ვაშლსა ჩავჰყრით ქვაბში, **წყალში შიგან**, მეიხარშვის (ხოხლევი)... თუმცა **-შიგან** **-ში**'ს გარეშეც გვხვდება: **დიობანის შიგან** თექ არ ლაპარაკობენ (შავშეთი)...

-ში თანდებულიანი მიცემითის გვერდით გვხდება უთანდებულო (ზოგჯერ უბრუნვისნიშნო) მიცემითი (ზამთა-რი **ისტამბულ** გამეყვანე ღარჭებთან (ხოხლევი)...) გვხდება ჩვეულებრივი ფორმითაც: **კროჭებში**, **ქილკებში**, კოლოფებ აკეთებდენ შეშიდან...(ზენაგარა);

იშვიათად, მაგრამ მაინც, დასტურდება **-ჩი**(<ში) თან-დებული: **სოფელჩი** აღარ ჩერდებიან, გარბიან (ხულო); **მიდ-ღემჩი** არ ვიფიქრებდი (ორთაბათუმი); **იმეთჩი** ჩვენი დედე-ბი ყოფილან იშტე (ელასხევი).

ზე თანდებული ჩვეულებრივად გამოიყენება სამხრულ კილოებში (**ფესტივალზე** ამოდი და ამღერე აგინი (მერჯი-მექედუზი)...) თუმცა, დასტურდება შემთხვევები როცა **-ზე** თანდებული ცვლის - **ში**'ს: **ქორწილში** ვიყავი//**ქორწილზე** ვი-ყავი...

თან თანდებული ჩვეულებრივ მიცემით ბრუნვასთან იხმარება. სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, ზოგჯერ ხმოვანფუძიან სახელებზე დართვისას შავშურში მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკარგება: იქ ჩემ **დათან** არიან (ბაზგირე-თი)... აღვნიშნავთ, რომ ანალოგიური შემთხვევები სხვა კი-ლოებში არ გვხვდება (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის არაა ცნობილი), თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა შემთხვევას აჭარულში.

ვით თანდებული **-ვეთ** და **-ვენ** ფორმასაც გვიჩვენებს: **შეშასავეთ** დადიან ფალაზები (ხევწრული); **თურისთსავენ** აარებით, ბევრი ფარა გინდანან (ხევწრული)...

თანდებულის ფუნქციით იხმარება სხვადასხვა შინაარსის ზმნიზედა: ეგა დანიშნულია, ბაირამ **უკან**'ნა მეიყვანოს (მანატბა); მარტის **უკან** ქი არის, ნისანი? (ჩაქველთა). **იმა**ს **უკან** რუსებმა ნელნელა წამოციმციმდენ (მანატბა); წითვეთი შავშეთის **უკნედანაა** (ბაზგირეთი); ჯინალი(ს) **უკნედან** აჭარაა (დავლათი). ოცი **წლის წინ** ზამთარ-ზაფხულ იქ იქნებოდენ (დასამობი); **იმაზე წინ** ჩაქველთა იყო (ჩაქველთა); მე იქ ვიყავ, **სერ იქეთ** (უბე); სხვაგან წეიყვანა, **სოფელ გარეთ** (ჩაქველთა)...

შდრ. ჯავახ. გავიდა **სოფელ გარეთ**.

ამგვარად, სამხრული კილოები თანდებულთან დაკავში-რებით ბევრ საერთოს ავლენენ და ამასთან, ხშირად ასახვენ ქართული ენის უძველეს ვითარებას.

3.6. ბრუნვათა ფუნქციები. ქართულში ყველა ბრუნვას თავისი გამოკვეთილი ფუნქცია აქვს. ბუნებრივია, ფუნქციები მკაფიოდ გამოხატულია სამხრული კილოებშიც.

სახელობითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ქვემდებარის გამოხატვა, ეს ნორმა დაცულია **სამხრულ** დიალექტებშიც: **ქორწილი** დამთავრდებოდა (ხება); **აჯარი** ზენგინი კაცია (ქლასკური)...

აღსანიშნავია, რომ კლარჯულში სახელობითის ფუნქციით ზოგჯერ მოთხრობითიც გვხვდება, ანუ იქ, სადაც მოსალოდნელია სახელობითის ფორმები, ხშირ შემთხვევაში გარდაუვალი ზმნა წყვეტილში სახელს მართავს მოთხრობით ბრუნვაში და ვლებულობთ შესაბამის ფორმებს:

ქალებმა (=ქალები) მარტო ძროხას მოწველიდენ (ქლასკური)...

ქვემდებარეს გამოხატავს სახელობითი სხვა სამხრულ კილოებშიც: მაგ. შავშურში: ოქი თურქეთი კაცები საომებლად წასულან; ერთი **ფაფაზი** ყოლიათ (ხოხლევი); **დედამთილი** ფელჯი გახდა (მერჯიმექდუზი); ჩვენი **ფესთივალი** ოთხი დღე იქეთ იქნება (მერჯიმექდუზი)...

მოთხრობითი ბრუნვას ქართულში ერთადერთი ფუნქცია მოეპოვება - გამოხატოს გარდამავალი ზმნის სუბიექტი მეორე სერიის ფორმებთან. ზმნა ამ დროს შეიძლება იყოს ორპირიანი, სამპირიანი და ზოგჯერ - ერთპირიანიც კი, როცა საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნითაა გადმოცემული.

სამხრულ კილოებში მოთხრობითის ფუნქცია ნორმის მიხედვითაა გამოხატული:

კაცმა ამომირჩია (ბაზგირეთი); **ბაბუამა** მითხრა (ბაზგირეთი)...

კლარჯულ მეტყველებაში გვაქვს შემთხვევები, როცა მოთხრობითის ფუნქცია გამოხატულია ნორმის მიხედვით,

თუმცა, ხშირია განსხვავებული ვითარება: დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებში გავრცელებული თავისებურება - გარდაუვალი ზმნით გადმოცემული ზმნა-შემასმენლის მეორე სერიის ფორმებთან ქვემდებარე მოთხრობით-შია: შეეყარა **დათვმა** (კირნათი); **ამან** გურჯისტანში გეფხდა (თხილაზორი);

ქვემდებარე მოთხრობითშია ასევე გარდაუვალი ზმნით გადმოცემული შემასმენლის I სერიის ფორმებთან: აქა ბუკში მირტყმიდა **მუჭელიმმა** (ნუსრეთი); ჩვენი ქართველი **კაცმა**, მის განაყოფს თუ აქვა, ვერ ტანულოფს (ხება);

იშვიათად ქვემდებარე სახელობითშია გარდამავალი და მედიოაქტიური ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან მეორე სერიაში: ამის **ბიძაშვილი** (=ბიძაშვილმა) იქ იკითხა (ჯივანი); დიდი **ბადიში** (=დიდმა ბადიშმა) უნივესიტე მეფგო (გურბინი)...

მოთხრობითი ზემოხსენებული ფუნქციით ყველაზე მეტად დამახასიათებელია მარადიდისა და მიმდებარე სოფლებისთვის. თუმცა ამ ფორმას, მართალია, გაცილებით უფრო მკრთალად, მაგრამ მაინც, ვხვდებით მურღულშიც და უფრო ზემოთ, ართვინის მიმდებარე ქართულენოვან სოფლებშიც. შესაბამისად, ვფიქრობ, შეიძლება დავუშვათ, რომ იგი სწორედ კლარჯულისთვის ნორმა იყო საუკუნეთა განმავლობაში.

მიცემითი ბრუნვის მრავალფეროვანი ფუნქციის მიუხედავად, მისი ძირითადი დატვირთვა მაინც ობიექტის გამოხატვაა და ეს ნორმა დაცულია სამხრულ მეტყველებაშიც:

ღმერთსა ეწყინა (უბე); **ნავს** სამოცი კაცი აწევდა (ხება); **ნავს** ქურელი ეწიკება - ცარიელა საქმეებზე ვიტყვით (მურათ-ლი); **ჩემ შვილს** ჩასაცმელ უქსოვ, უკლავო (მარმაწმინდა)...

ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა სუბსტანტიური ანუ მართული მსაზღვრელის გამოხატვა, რაც სამხრულ კილოებშიც დასტურდება:

გურჯებ-ის ქითაბი, **სიმ-ის** სახლი (ქლასკური); ხაპები გედესულა **ხალხ-ის** დერებში (ბაგინი); **ცხვის** შვილი კრავია, **გელის** - ლეკვი (მაჩხატეთი); ამ **სოფლისა** ვართ (ზენაგარა)...

გარდა ამისა, ნათესაობითი გვხვდება კომპოზიტებში, გამოხატავს დროის გარემოებას, გვხვდება ინფინიტივის გადმოსაცემად, გამოიყენება მსაზღვრელად, ზომა-წონის, ფასისა და ასაკის გამომხატველ სიტყვებში, თანდებულთან და სახელთან, ფუძეგარკვევებულ კომპოზიტებში... თითქმის ყველა ეს ფუნქცია მეტ-ნაკლებად გამოხატულია სამხრულ კილოებშიც.

მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა მოქმედების იარაღის, მასალის გამოხატვა. ამ დროს მოქმედებითბრუნვიანი სახელი უბრალო დამატების როლში გვევლინება: წევლენ გოგოს სახში **არაბა-ით**, **ცხენ-ით** (ქლასკური); ყავეს შეასვავს ოქროს **ფინჯან-ით** (ხება)... იმავე ფუნქციით მოქმედებითი შესაბამის საწყისსა და მიმღობასთანაც გამოიყენება: **ცხენ-ით წასვლა**, **ურმ-ით მოტანილი**.

მოქმედებითში დასმული სახელი გამოიყენება ადგილის, დროის, ვითარებისა და მიზეზის გარემოებების გადმოსაცემად; მოქმედებითში დასმული სახელები გამოიყენება თანაობის აღსანიშნავადაც: გოგოს სახში ხუთი-ათი **კაც-ით** მიხვალ (ქლასკური)...

ვითარებითი ბრუნვის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა გარდაქცევითობის გამოხატვა. ამ ბრუნვაში დასმული უბრალო დამატებით გამოიხატება ცვალება, გარდასახვა, გარდაქმნა: **ლამაზ-ათ** გახდა (ბაზგირეთი)...

ხშირია ვითარებითი ბრუნვის ნიშნით ვითარების ზმნიზედების წარმოება სამხრულ კილოებში: ღმერთმა არ გაგაფაქოს შენ, იყავი ასე **ლამაზ-ათ!** შენ თუ **კარგ-ათ** ჭამ და სვამ, შენი თავი ნათესავს არ უყვარს (მურათლი);

ვითარებით ბრუნვიანი სახელები ფართოდ გამოიყენება მიზნის გარემოების, ასევე, ადგილისა და დროის გარემოებათა ფუნქციით: აქ **ძველ-ათ (დროის გარემოება)** ალთუნის ფინჯანით ყავეს სმიდენ; ჩვენაც ღობეს ვეტყუდით ძველ-ათ...

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბრუნვების ფუნქციები კარგადაა გამოკვეთილი სამხრულ კილოებში, ნაწილი ფუნქციებისა გვხვდება უფრო ხშირად, ნაწილი კი იშვიათად. გვხვდება სალიტერატურო ქართულისაგან და სხვა კილოებისაგან განსხვავებული შემთხვევებიც.

3.7. რიცხვის წარმოება სამხრულ კილოებში. სახელის მრავლობითს აწარმოებს **-ებ, ნ/თ** სუფიქსები. ნორმა ჩანს - ებ'იანი წარმოება, ნარ-თან'იანი წარმოება იშვიათია: **არაბანი** მეგემაღნენ? (უსტამისი); სამი **ძმანი** ყოფილან (სვირევანი)...

-თა სუფიქსი შეზრდილია ფუძესთან, რომელსაც დაერთვის ბრუნვის ნიშანი: ამ ემოს ღარჭებმა, **ორთამა** ემოს ბაკალაზე თვალი გამოდგა (სვირევანი).

როგორც წესი, სამხრულ კილოებში სახელის მრავლობითს აწარმოებს **-ებ** სუფიქსი, რომლის დართვა იწვევს ფუძის შეკუმშვას, მაგრამ ხშირია შეუკუმშველი ფორმები იქ, სადაც მოსალოდნელია კუმშვა: **სტუმარები** მიხვალთ (ბაზგირეთი); **გელები** შიერები დაწყდებიან (წეთილეთი)...

ასევე გვხვდება შეკუმშული ფორმებიც: სიმინდი **კოტრებ** გეაკეთებს (ხევწრული); ხოშ თელი **მუსლიმნები** არ ლოცულობენ (ხევწრული)...

გვაქვს შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ფორმა ზოგჯერ შეკუმშულია, ზოგჯერ - **შეუკუმშველი**: **ბებერების** თეთრი თმა, ნუ გინდაო ბევრი თქმა (ჩაქველთა); გოგვები გასულან **ბებრებთან** (ჩაქველთა)...

იშვიათად გვხვდება კუმშვა-კვეცის მაგალითებიც: ესა ჩემი **ბადნები** არიან (ჩაქველთა)...

ხმოვანფუძიან სახელებში გვხვდება სხვადასხვა შემთხვევა: **გზები** ყაფანდება (ივეთი); **გზები** არი (ჩაქველთა); კარგი **გზიებია** (უსტამისი). აქ გოლი არ არი, **დელებია** (უსტამისი); ჩვენი **დელები** ზათი აჭარადამ გადმოსულან (მაჩხატეთი)...

ცალკე უნდა გამოიყოს კითხვითი ნაცვალსახელი **რა, ვინცა, რაცა, აგრეთვე, „მაშინა“** და მისთ., რომელნიც არ მისდევენ მრავლობითის წარმოების წესს: საწყალს **რები** არ გადახდა თავზე; აქამდინ **ვინცაებს** აშინებდი;

სახელთა ორმაგი მრავლობითის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ **მეგრენები, გვერდენები, მოწმენები.**

ქობულეთური კილოკავისა და ჭვანის ხეობის მკვიდრთა მეტყველებისათვის ასევე დამახასიათებელია **იგი, აგი, მაგი** ნაცვალსახელთა **ნ-ებ** იანი მრავლობითი: **იგინები, მაგინები...**

ამრიგად, როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რიცხვის წარმოება სამხრულ კილოებში ძირითადად მიჰყვება ქართული ენის ნორმას, თუმცა გვაქვს თავისებურებებიც, რაც სამხრული კილოებისთვისაა დამახასიათებელი.

3.8. ბრუნების ძირითადი პარადიგმები. დიალექტოლოგები ამა თუ იმ დიალექტის აღწერისას, ცალკეული გრამატიკული ფაქტისა თუ მოვლენის ანალიზისას, ჩვეულებრივ, მსჯელობენ ცალკეულ თავისებურებებზე. ხშირ შემთხვევაში ჭირს ამ თავისებურების გააზრება სხვა ფორმებთან მიმართებით, ამ თავისებურების ადგილის გარკვევა საერთო ენობრივ სისტემაში, ანუ ამ თავისებურებების გააზრება სისტემის წევრად. ბრუნების პარადიგმის წარმოდგენას და ამ პარადიგმებში თავისებური ფორმების წარმოჩენას, ვფიქრობთ, ამ თავისებურებათა ანალიზისათვის და არსებული ენობრივი ტენდენციების გარკვევისათვისაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ერთი კონკრეტული მაგალითი: თავისებურებათა ანალიზისას აღნიშნავდნენ, რომ ხმოვანფუძიანი სახელის სახელობი-

თი ბრუნვის ნიშანია - ე: დედა-ე, რომ ხმოვანფუძიანი სახელის მიცემითი ბრუნვის ნიშანი არის ე(<ს?): - დედა-ე (= დედა-ს). პარადიგმათა ანალიზის შედეგად წარმოჩნდება, რომ თუ ხმოვანფუძიან სიტყვას სახელობითში აქვს ე, მას მიცემითში ექნება -ს და თუ მიცემითში აქვს ე, მას სახელობითში ექნება Ø, ან ი. ეს თითქოსდა მარტივი წესი თვალსაჩინო ხდება პარადიგმათა ანალიზისას.

შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ნაშრომში წარმოდგენილია და განხილული ბრუნების ძირითადი პარადიგმები სამხრულ კილოებში. კერძოდ, თანხმოვანფუძიანი, ხმოვანფუძიანი სახელების, ასევე, საკუთარ სახელთა და მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებათა ნიმუშები აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური კილოებისთვის.

დასკვნები

1. სამხრული კილოების გავრცელების ძირითადი არეალი ჭოროხის აუზია, რომლის უმეტესი ნაწილი დღეს თურქეთის შემადგენლობაშია და ძირითადად, ართვინის პროვინციის ტერიტორიას შეადგენს. აჭარასთან (და საქართველოს სხვა რეგიონებში შიდა მიგრაციის შედეგად დაფუძნებულ ზოგიერთ სოფელთან) ერთად სწორედ დასახლებული ტერიტორია შეადგენს სამხრული დიალექტების გავრცელების არეალს ისტორიულ სამხრეთ საქართველოში.

გარდა აღნიშნულისა, სამხრული დიალექტების გავრცელების არეალია თურქეთის მარმარილოსა და შავი ზღვის რეგიონების ის დასახლებები, რომლებშიც აჭარიდან, კლარჯეთიდან, შავშეთიდან, ტაოდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ.

2. ქართულ ენათმეცნიერებაში აზრთა სხვაობაა სამხრული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, უკანასკნელ წლებში განხორციელებული კვლევებით, სამხრული მეტყველების ინტენსიური შესწავლის საფუძველზე, ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, მისაღები ჩანს შემდეგი კლასიფიკაცია:

1. შავშური კილო // შავშური დიალექტი კილოკავებით: იმერხეული, მაჭახლური.

2. კლარჯული კილო // კლარჯული დიალექტი კილოკავებით: ზემოკლარჯული, ქვემოკლარჯული (ლივანური).

3. ტაოური კილო // ტაოური დიალექტი.

4. აჭარული კილო // აჭარული დიალექტი კილოკავებით: ზემოაჭარული, ქვემოაჭარული და ქობულეთური.

აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური ქმნიან დიალექტთა ჯგუფს, რომელსაც სამხრულ დიალექტებს/სამხრულ კილოებს ან სამხრულ მეტყველებას ვუწოდებთ

3. სამხრული კილოების კვლევას საფუძველი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩაეყარა. საქართველოს გასაბჭოების და ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების თურქეთის შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ თითქმის 70 წელს, XX საუკუნის 80-იან წლებამდე ქართველ მკვლევარს თურქეთის ქართულ პროვინციებში ფეხი არ დაუდგამს. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან შესაძლებელი კვლევითი საქმიანობა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. შედეგად, მოპოვებულ იქნა საყურადღებო მასალები. გამოითქვა მრავალი მოსაზრება. ამ კვლევით საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომპლექსური მონოგრაფიები „შავშეთი“ (2011 წ.) და „კლარჯეთი“ (2016 წ.), ცალკეულ ავტორთა ნაშრომები, რომლებიც, არსებითად, სამხრული დიალექტების კვლევის ახელ ეტაპს წარმოადგენს.

4. თანამედროვე თურქეთის ქართულენოვან დასახლებათა შორის, ჭოროხის აუზთან შედარებით, გაცილებით მეტია თურქეთის შიდა რაიონებში მცხოვრები მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლები. ყველაზე მეტი ქართული დასახლება შავიზღვისპირეთისა და მარმარილოს ზღვის რეგიონებშია. მუჰაჯირთა შთამომავლებმა, უმეტეს შემთხვევაში, იციან საკუთარი წარმომავლობის, ფესვების შესახებ. ბევრი მათგანი ლაპარაკობს ქართულად და ურთიერთობს საქართველოში მცხოვრებ ნათესავებთან. ამასთან, მშობლიურ ენაზე საუბრობს მხოლოდ საშუალო და უფროსი თაობა.

რაც შეეხება მუჰაჯირთა მეტყველებას - აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველება ტიპური აჭარულია, შავშელებისა - შავშუ-

რი, კლარჯებისა - კლარჯული და ა.შ. მუჰაჯირებს შენარჩუნებული აქვთ წინაპართა რეგიონების მკვიდრთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი აქცენტებიც, ეს მეტყველება თავისუფალია სალიტერატურო ქართულის გავლენისაგან, უფრო მეტიც, მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებამ შეინახა სამშობლო რეგიონების ბევრი ის თავისებურება, რომელიც ახასიათებდა საუკუნე-ნახევრის წინ და რომელიც „დაივიწყა“ აჭარულმა აჭარაში. კალრჯულმა კლარჯეთში, შავშურმა შავშეთში და ა.შ. ამდენად, მუჰაჯირთა მეტყველება საყურადღებოა ენის ისტორიისთვისაც.

შესაბამისად, როდესაც სამხრულ დიალექტებს ვიკვლევთ, აღარაა საკმარისი დღევანდელი ჭოროხის აუზის მკვიდრთა მეტყველებაზე დაკვირვება, აუცილებელია, გავითვალისწინოთ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაც

5. ჭოროხის აუზის ქართველთა მეტყველებაზე დაკვირვება ფუძეთქმნადობის რამდენიმე ტენდენციას ადასტურებს. ფუძეთა მიხედვით სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: ხმოვან-ფუძიანი და თანხმოვანფუძიანი, მაგრამ სამხრულ კილოებში ზოგიერთი არსებითი სახელი ორგვარი ფუძითაა წარმოდგენილი. განსახილველი მასალა შეიძლება რამდენიმე ჯგუფად გაიყოს:

- ა. ფუძის ბოლოს, აუსლაუტში მონაცვლეობენ ხმოვნები;
- ბ. ფუძის ბოლოს, აუსლაუტში მონაცვლეობენ ხმოვნები და თანხმოვნები.

ცვლილება მოუდის როგორც ნასესხებ, ისე ქართულ ფუძეებს. ფუძის ორგვარი ვარიანტით წარმოდგენა სამხრული კილოების სახელის ფუძისქმნადობის ერთ-ერთ ნიშნად უნდა ჩაითვალოს.

6. ბრუნვის ნიშნების მხრივ სამხრულ კილოებში ბევრი თავისებურება არ ჩანს.

სახელობითი ბრუნვა გვხვდება ერთი და იგივე ფორმით, ანუ ხმოვანფუძიან სახელებში ბრუნვის ნიშნად გვაქვს *ე*, *ი* და უნიშნობა. რაც შეეხება თანხმოვანფუძიან სახელებს, თითქმის ყველა შემთხვევაში გვხვდება ჩვეულებრივ სახელობითი ბრუნვის ნიშანი -*ი*, თუმცა, ტაოური კილო განსხვავდება დანარჩენებისგან და თანხმოვანფუძიანი სახელებიც უმეტეს შემთხვევაში გვაქვს ფუძის სახით, რაც ძველი ქართულის წრფელობითის ფარდად უნდა ჩაითვალოს.

მიცემითში მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა ფონეტიკური მოვლენა, რაც ცოცხალი ქართული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, ბგერის დაკარგვა. ხშირია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა, განსაკუთრებით თანხმოვანფუძიან სახელთა მხოლოდით რიცხვსა და -*ებ* იან მრავლობითში. სამხრულ კილოებში გვაქვს ფორმები, როდესაც მიცემით ბრუნვაში სახელებს დართული აქვთ სავრცობი -*ა*. უფრო მეტად ეს მოვლენა დამახასიათებელია შავშურისათვის.

ნათესაობითის აფიქსისეული თანხმოვნის დაკარგვა საერთო მოვლენაა სამხრული კილოებისათვის. მთლიანი აფიქსის (-*ის*) დაკარგვა მუჰაჯირებთან დადასტურდა სპორადულად, რაც ინდივიდუალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ერთმანეთის პარალელურად წარმოდგენილია შეკვეცილი და შეუკვეცავი, შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები. მოვლენა მეტ-ნაკლები ინტენსივობით გვხვდება ყველა სამხრულ კილოში.

სამხრულ მეტყველებაში მოქმედებით ბრუნვაში ხმოვან-ფუძიან სახელებში ყოველთვის გვაქვს ბრუნვის ნიშნად -*ით*. თანხმოვანფუძიანი სახელები ისევე არიან გაფორმებული, როგორც სამწერლობო ენაში;

ვითარებით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნად გვხვდება -*ათ* (<*ად*):

წოდებითში თანხმობანფუმიან საკუთარ სახელებთან ზემო აჭარულში უპირატესად ო გამოიყენება, ხმოვანფუმიან სახელებთან კი ვ.

7. ქართული ენის სამხრული დიალექტებისთვის (უმეტესად შავშურისა და კლარჯულისათვის) დამახასიათებელია როგორც ძველი, ისე თანამედროვე სახე მოთხრობითი ბრუნვის წარმოებისა. შეიძლება ვისაუბროთ ერთგვარ გარდამავალ ფორმებზეც, მხედველობაში გვაქვს -მა ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუმიან სახელებში.

აღწერილია შემთხვევები, როცა გარდაუვალი ზმნა წყვეტილში სახელს მართავს მოთხრობით ბრუნვაში (მაგ. ეიწია **ყანამ** რამტონი ხანია) კირნათ-მარადიდის მეტყველებისათვის სპეციფიკური ისაა, რომ ზმნა სახელს მოთხრობით ბრუნვაში მართავს პირველის სერიის მწკრივებშიც (მაგ. **ბაღნებმა** არ ეპატრონებიან მის სახლს; **ფიქრიემ** ტირის, ბაბამ მომკლისო). მარადიდული მეტყველების ამ სპეციფიკურ თვისებას მკვლევრები ლაზური ენის ინტერფერენტულ გავლენად მიიჩნევენ. თუმცა, მეორე მოსაზრებით სხვა ქართულ კილოებში ანალოგიური ფორმების პოვნა ეჭვქვეშ აყენებს ლაზურის გავლენის საკითხს ლივანურ და შავშურ მეტყველებაზე.

8. თანდებულთან დაკავშირებით აჭარული, კლარჯული და ტაოური კილოები ბევრ საერთოს ავლენენ. სამხრულ კილოებში, ისევე როგორც სამწერლობო ქართულსა და სხვა დიალექტებში, დასტურდება ადგილისა და დროის ზმნიზედებზე თანდებულის დართვის შემთხვევები. ჩანს, მოვლენა ქართული ენის უძველესი ვითარების ამსახველია.

სამხრულ დიალექტებში გამოიყენება —**დან//დამ(ა)** (<დადმე), —**ში** (**შიგან,შიჩი**),-**თვის** (**-თვინ|თინ|თუნ**), -**კენ** (-**კე**), —**თან...** და სხვა თანდებულები. არის შემთხვევები, როცა

თანდებულის ფუნქციით იხმარება სხვადასხვა შინაარსის ზმნიზედა.

9. სამხრულ კილოებში ბრუნვების ფუნქციები კარგადაა გამოკვეთილი; ნაწილი ფუნქციებისა გვხვდება უფრო ხშირად, ნაწილი კი იშვიათად. გვხვდება სალიტერატურო ქართული-საგან და სხვა კილოებისაგან განსხვავებული შემთხვევებიც, რაც ბუნებრივია.

10. სახელის მრავლობითს აწარმოებს -ებ, ნ/თ სუფიქსები. ნორმა ჩანს -ებ'იანი წარმოება, ნარ-თან'იანი წარმოება იშვიათია. შეიძლება ითქვას, რომ რიცხვის წარმოება სამხრულ კილოებში ძირითადად მიჰყვება ქართული ენის ნორმას, თუმცა გვაქვს თავისებურებებიც, რაც კლარჯული მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი.

11. დიალექტოლოგები ამა თუ იმ დიალექტის აღწერისას, ცალკეული გრამატიკული ფაქტისა თუ მოვლენის ანალიზისას ჩვეულებრივ მსჯელობენ ცალკეულ თავისებურებებზე. ხშირ შემთხვევაში, ჭირს ამ თავისებურების გააზრება სხვა ფორმებთან მიმართებით, ამ თავისებურების ადგილის გარკვევა საერთო ენობრივ სისტემაში, ანუ მათი გააზრება სისტემის წევრად. ნაშრომში წარმოდგენილია ბრუნვის პარადიგმი და ამ პარადიგმებში წარმოჩენილია თავისებური ფორმები, რასაც ამ თავისებურებათა ანალიზისათვის და არსებული ენობრივი ტენდენციების გარკვევისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები აისახა ავტორის პუბლიკაციებში:

1. ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფუნქციისათვის კლარჯულში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, დოქტორანტთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2017. (იბეჭდება)

2. თანდებულის ზოგიერთი თავისებურება სამხრულ კილოებში. სემიოტიკა, სამეცნიერო ჟურნალი, ტ. XVI, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; სემიოტიკის კვლევითი ცენტრი, სემიოტიკის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ჰუმანიტარული კვლევები, ნაწილი მეორე, გვ. 243-248, თბილისი, 2016.

3. „ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები ქოჯაელის პროვინციაში“ (თანაავტორი). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. IX, გვ. 49-59, გამომცემლობა - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014.

4. „რიცხვის წარმოება კლარჯულ კილოში“. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. VIII, გვ. 46-48 გამომცემლობა - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი-2014.

5. ქართული ენა და სოფლები ბურსას პროვინციაში (თანაავტორი) . ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - I“, მასალები, გვ. 74-78, გამომცემლობა -

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014.

6. ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები მუჰაჯირთა მეტყველებებში - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. IX, გვ. 25-27, გამომცემლობა - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ბათუმი, 2014.

7. “ჩვენებურთა სამზარეულო“ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, ტ. VII, გვ. 114-121, გამომცემლობა - „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ბათუმი, 2013.

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
Faculty of Humanities
Department of Georgian Philology

Tamar Chokharadze

NOUN IN THE SOUTHERN DIALECTS

Specialty- Linguistics

Dissertation Work Presented for
Obtaining the Academic Degree of Philology PHD

ANNOTATION

BATUMI
2017

The dissertation work has been executed in the Faculty Humanities,
at the Department of Georgian Philology of Batumi Shota Rustaveli
State University

Scientific supervisor: Mamia Paghava

Professor of Batumi Shota Rustaveli State University

The Reviewers: **Nana Tsetskhladze** – Doctor of Philology, Batumi
Shota Rustaveli State University, Associate
Professor

Elza Putkaradze - Doctor of Philology, Chief
Scientist of Niko Berdzenishvili Institute of
Batumi Shota Rustaveli State University

Medea Rizhvadze - Doctor of Philology, Professor
of St. Tbel Abuserisdze Teaching University

Dissertation Work will be defended on 06. 2017 (13⁰⁰).

At the dissertation board meeting of the faculty of Humanities of
Batumi Shota Rustaveli State University.

Address: 35 Ninoshvili str., Batumi, classroom N 37

The dissertation work is available at Ilia Chavchavadze library of
Batumi Shota Rustaveli State University and at the web page of the
same university: (www.bsu.edu.ge)

General Description of the Work

Southern Georgia together with the upper part of Mtkvari covers various regions of Chorokhi basin (Adjara, Shavsheti, Klarjeti, Tao, Speri...) The spreading area of southern dialect are the settled regions and accordingly, the **research object** of the presented work is the speech of Chorokhi Basin Georgians.

Activity of Research theme: Chorokhi Basin was one of the main center of centuries-old Georgian Culture. It played the important role in Economic and cultural life of the country. In ancient time, the region consisted of basic three provinces: Klarjeti, Tao and Speri. The borders of these provinces used to change sometimes, though; generally, Klarjet-Shavsheti included lower part of the basin, middle part of Chorokhi-Oltisiti, Tortomi, Parkhali- which was called as Tao and upper part- as Ispira or Speri. From the ancient times, the whole this territory was settled by Georgian tribes, accordingly, it represented Georgian language space.

Since XVI Century, the southern provinces of Georgia have been conquered by Ottomans, which was followed by forced Islamization of habitants there. In XIX-XX centuries, the great wave of Muhajir eviction covered southern Georgia. Georgian were forced to leave their homes and move to internal province of Ottoman. Over time, Georgian language become the communication language between the families, in major part of the Region, often, Georgian language was driven out by Turkish state language. Georgian language, customs and Georgian Ethnographic life were forgotten in many villages remained in the part of Turkey, but it all seems not to have gone away but remained in Turkish and agricultural life of western provinces of Turkey.

Study of modern state of Chorokhi basin reveals that, Chorokhi basin is common cultural center, despite this, several regions with their speeches, ethnographic life and folklore had been formed.

Historical reality left the indelible imprint in the life of Chorokhi basin habitants. The historical-cultural memory keeps tragic and sign of proud of several historical epoch. These signs are revealed not only in material culture but also, in customs, legends and sayings, toponyms, in Georgian Speech and even in Georgian vocabulary of language lost Georgian Turkish speech. Gathering and bringing into system in modern population of this information draws versatile image of region's past and current life and, further reveals several problems. Thus, the results of unequal dialogues of the cultures, the modern state of historical Georgian provinces lead to the relevance of the researches hold in the recent past years.

The goals and objectives of the research: The basic space of southern dialects spread is Chorokhi basin, the most part of which belongs to Turkey and basically, form the territory of Artvin province. In the mentioned province, Georgian language is spoken in western part of Shavsheti Region (Imerkhevi, Ustami and Chikhiskhevi), in Nigal- In Chorokhi valley, from Maradidi to Artvin (including Murguli Valley) also in one village beyond Artvin-Binati; in six villages of upper Mach'akhela (Turkish part of Mach'akhela valley), in Tao- in several villages of Parkhlistskali basin. Together with Adjara (several villages founded as the result of internal migrations in other regions of Georgia), the settled areas represent the area of southern dialect spread in historical southern Georgia.

In addition to the mentioned, the southern dialect's spreading area are those settlements of Turkish Marmora and the black sea regions, where the decedents of Muhajirs moved from Adjara, Klarjeti, Shavsheti and Tao, live.

Therefore, the subject matter of our interest represents the southern dialects, the geography of their spread and the state of study. The goal of the work is the analysis of peculiarities of the name in the southern dialects.

Scientific Novelty: The scientific novelty of the presented work is that, the peculiarities of the noun in southern dialects are monographic study. We think the circumstance important that, not only the dialectological texts recorded in southern Georgia, but the materials of Muhajirs descendants are used in the research. We use basically the material of BSU center of Georgian studies, also the texts recorded by us at descendants of Muhajirs in the provinces of Ordu, Samsun, Kojaeli, Sakarya, Ialova, during the expeditions. So, in the scientific flow, there is a large amount of material included, which conditions **theoretical and practical significance** of the work. Accordingly, the results might be used in research of numerous issues of linguistic, Georgian history, culture, etc.

Research method: as for the research methodology used in studies, I note that, recording of dialectological material was carried out as mechanically as in the electronic form, which enabled us to check the materials and create the electronic archive.

For the purposes of the research, basically we used the historical comparison and descriptive method, which primarily covered the field activities in the research region and recording of folklore, dialectological and ethnological materials according to the questionnaire compiled beforehand. Field expedition was held as in Georgian valleys and villages of Artvin province as well in inner regions of Turkey, in the villages settled by Georgian Muhajirs descendants. The informers were selected according to the age and social condition. The interviews were held individually, rarely- in group method, the free speech method was used as well.

Theoretical basis of the work: Along with the field work, the appropriate resources and scientific literature is studied. It is natural, that the basis of the work together with mentioned literature, are results of the scientific researches held in the last years. We underline the importance of complex monographs of Batumi Shota Rustaveli State University “Shavsheti” (2011 y) and “Klarjeti” (2016 year) and the works by: M. Paghava, Sh. Putkaradze, M. Tsintsadze, M. Baramidze, N. Tsetskladze, N. Partenadze, M. Kikvadze, M. Khakhutaishvili and others, which practically represent the new stages of southern dialects research.

Approbation of the work:

The work has been carried out at Georgian philology department of Batumi Shota Rustaveli State University, where the approbation of it was held on 15 July of 2015 year (Minutes #8).

The reviewers: Associated Professors Maia Baramidze, Natia Partenadze

The author of the qualification work has been given the recommendation on obtaining the research academic degree.

Separate sub-sections of the work have been published in scientific journals and collected papers, has been read on international and republic scientific conferences.

Structure of the work: The qualification Work “**Noun in the southern dialects**” covers 137 pages typed on computer and consists of introduction, three chapters divided in paragraphs and conclusions, which is attached by the list of the used literature and appendix:

Introduction	
1. Chapter I. the southern dialects issue in modern Georgian studies	
1.1. Classification issue	
1.2. Study condition of southern dialects	
1.3. Modern area of southern dialects spread	
1.3.1. Adjarian Dialect	
1.3.2. Klarjetian Dialect	
1.3.3. Shavshetian Dialect	
1.3.4. Tao Dialect	
1.3.5. The quality of Georgian language knowledge in Georgians of Turkey	
2. Chapter II. Noun roots formation in southern dialects	
2.1. Numerous characteristics of Noun roots	
2.2. Numerous characteristics of adjective and word formation	
2.2.1. Possessive nouns	
2.2.2. Absence nouns	
2.2.3. Origination Nouns	
2.3. Numerous characteristic of number	
2.4. Pronoun	
3. Chapter III. Noun case, functions of the case and formation of number in the southern dialects	
3.1. Noun	
3.2. Root of nouns	
3.3. Case signs, characteristics of cases	
3.4. For ergative construction in southern dialects	
3.5. Prepositional cases	
3.6. Functions of cases	
3.7. Number formation in southern dialects	
3.8. Basic paradigms of case	

Conclusions
Used Literature
Appendix

The content of the thesis:

The dissertation deals with the southern dialects spread area in Georgia and Turkey, the classification issues of southern dialects, characteristics of nouns in the southern dialects, on the bases speech of Georgian habitants in Chorokhi basin as well of Georgian Muhajirs descendants. The issues such as noun cases, functions of the cases and formation of number, the basic paradigms of the case are widely discussed. There in the thesis is used a lot of information which was obtained from Georgian settlements in Chorokhi basin, as well in inner provinces of Turkey.

Introduction

The actuality of the research topic, basic directions, goals and objectives are discussed in this part of the dissertation work. Also, it's scientific novelty and value, research methods, theoretical and practical significance are revealed, the information concerning the work structure is given.

Chapter I. The southern dialects issue in modern Georgian studies

The first chapter of the thesis deals with the issues concerning: Southern dialects classification, state of study, southern dialects spread modern area, as in Chorokhi basin, as well in the villages of Turkey settled by precedents of Muhajirs. The knowledge of Georgian language in Georgians of Turkey is discussed.

1.1. **Classification issue:** In the recent years, there is an attempt to review the existing classification of the dialects n Georgian scientific Literature. Especially it relates to the speech of the Georgians living on the territory of Turkey. Emergence of new point of views has the objective basis: since 80-years of last century, study of speech of Georgian in the Chorokhi valley, the significant part of historical Georgia, become possible at the site. Several works have been published-including monographs. It is natural, that the scientific base of our research are those mentioned works.

In the presented work, we rely on the classification of Prof. M. Paghava:

1. Shavshetian dialect//Shavshetian dialect with sub dialects: Imerkheuli, Machakhluri.
2. Klarjetian dialect//Klarjetian dialect with sub dialects: upper Klarjuli, lower Klarjuli (Livanian).
3. Tao dialect//Tao sub dialect.
4. Adjarian dialect//Adjarian Dialect with sub dialects: upper Adjarian, lower Adjarian and Kobuletian.

Adjarian, Shavshurian, Klarjetian and Tao create the group of dialects, which we refer as southern dialects or southern speech.

Therefore, as we consider the history and existing point of views of the subject research, in the presented work, we refer the southern

dialects/southern speech (M. Paghava, M. Tsintsadze) as: Adjarian, Shavshetian, Klarjetian, Tao.

As for the speech of Muhajirs- the speech of Adjarian Muhajirs is typically Adjarian, of Shavshetians- Shavshurian, Klarjetians- Klarjetian and so on. Muhajirs have maintained the accent characterizing the ancestor habitants speech, this speech is free from the influence of Georgian literary language, furthermore, the speech of Muhajirs descendants many those characteristics of the native regions, which characterized century and half before and which Adjarian has “forgotten” in Adjara. So, the language of Muhajirs is important for the history of the language.

And finally, when we study the southern dialects, it is not enough to observe the speech of Chorokhi basin habitants, but it is essential to consider the speech of Muhajirs’ descendants.

1.2. Study condition of southern dialects. The basis of research of southern dialects goes back to 70-years of XIX century. In this regard, is very important the records of Dimitri Bakradze and Giorgi Kazbegi, later –Z. Chichinadze and T. Sakhokia.

Especially N. Mari “Blogs” are noteworthy, which includes, so called Imerkheuli speech samples and toponymic material. In 1904 year, for the purposes of finding the cloister mentioned in “Grigol Khandzteli life” he traveled in southern Georgia and walked in villages of Shavsheti and Klarjeti. Still today, the scientific, historical and practical value of his “Blogs of travel in Shavsheti and Klarjeti”.

The following expedition in southern Georgia was hold by Ekvtime Takhaishvili in 1917 year. His expedition and researches contributed immensely to the research issue of this vast region.

Since the large part of southern Georgia appeared in the belongings of Turkey, for a long time none of Georgian researches had been to the provinces of Turkey. Though, Adjarian dialect had

been intensively studied. From 90-years of XX century, carrying out expedition in Chorokhi countries become possible. The first, professor Shushana Phutkaradze traveled in republic of Turkey, recorded the examples of speech of Georgian speakers living there and published as the separate book, which raised the great interest. At the end of twenties century, the renovated researches had successfully continued in several scientific center of Georgia, including Batumi Shota Rustaveli State University.

1.3. Modern area of southern dialects spread. All southern dialects still existing are alive dialect. Adjarians, Shavshetians, Klarjetians, Taoans speaking on this dialects live as on southern territory of historical Georgia on one hand and in Republic of Georgia (in Adjara and other regions of the country- as the result of internal migrations), and on the other hand on Georgian territories belonging to Turkey- in Shavsheti, Klarjeti, Tao; also in internal regions of Turkey (Georgians live in several provinces of Turkey, in cities, though, the compact settlements are gathered in the regions of Marble and the Black sea. These mentioned people are a) the descendants of those exiled during the Muhajirs process. B) the exiled people as the result of internal migration of Turkey (from Shavsheti, Klarjeti and Tao. Also, from the settlements of Muhajirs’ descendants).

The specific information concerning Georgian settlements according to “Dialect Mosaic” is presented in the work. Georgian language villages of Klarjeti, Shavsheti and Tao are listed. In addition, the Georgian Muhajirs settlements, exiled from Adjara, Klarjeti, Shavsheti, Tao in inner provinces of Turkey. While systemizing of the date we base on the recent researches and works by prof. Mamia Paghava, Prof: Sh. Putkaradze, Prof: M. Chokharadze, also the collective monographs of researchers of BSU’s Georgian studies

center. (Shavsheti, 2011; Klarjeti, 2016); on the other hand, our records, in particular, expedition materials, in which I participated together with the researchers of above mentioned center (I mean BSU' Georgian studies center expeditions in Republic of Turkey, in the provinces settled by Georgian Muhajirs' descendants; in 2014 year- Bursa, Balikesiri, Duzje and Sinopi provinces; in 2013 year- Kojaeli, Sakaria, Bursa and Duzje provinces; in 2012 year- Ordu and Samsun provinces).

Hereby we note that there are more than four hundred villages of Muhajirs descendants in Turkey. For systemization of Georgian settlements, further works are necessary and accordingly the data presented in the work still needs specification and fulfillment, though, the presented data gives the clear picture for modern Geography of southern dialects.

1.3.1. Adjarian Dialect, even though Adjarian dialect undergone foreign, Turkish language influence for a long time, it completely maintained its own grammar structure and basic lexical fund. It is true, that the same may be said concerning other southern dialects, though, the influence of Turkish language in the past was less in Adjarian dialect than in Shavshetian, Klarjetian and Taoan Dialects. Adjarian population strongly defended Georgian customs and Georgian language.

Adjarian dialect is mainly spread on the territory of modern Autonomous Republic of Adjara: on the territories of Khulo, Shuakhevi, Keda, Khelvachauri and Kobuleti.

The sub-dialects of Adjarian dialect are: Upper-Adjarian (the speech of Khulo, Shuakhevi and Keda, partly Khelvachauri habitants- the speech of Adjaristkali valley habitants), lower-Adjarian (the speech of Batumi suburb habitants) and Kobuletian (the speech of Kobuletian habitants).

Adjarian Eco-migrants live compactly in the regions of Georgia: in the regions of: Chokhatauri, Adigeni, Aspindza, Akhalkalaki, Ts'alka, Sagarejo, Signagi, Lagodekhi, Gori, Kaspi, Kareli, also regions of Kvemo Kartli.

As we mentioned, Adjarian people live and speech with native dialect in inner provinces of Turkey. In particular in Ordu, Samsuni, Duzje, Giresuni, Tokati, Amasi, Sinopi, Rize (black sea regions) Bursa, Sakaria (marble regions) provinces.

1.3.2. Klarjetian Dialect is spread on the historical territory of Klarjeti, in that part of Chorokhi basin, which is known as "Nigali or "Livani". Nigali used to begin from nearby the village Erge and lasted to Artvin. Therefore, most parts of this region belongs to Republic of Turkey. However, Georgian language space continues existence beyond the state border, though the picture has significantly changed. Firstly, long time has passed since the children used to begin speaking in native language. In Nigal, as well in other "Georgian" regions of Turkey, only adults speak in native language. The permanent migration, mainly the process of Muhajirs at the end of XIX century and at the beginning of XX century changed the geography and demographic picture of Georgian language.

Klarjetian dialect can be heard even today in the villages of Klarjetian Muhajirs' descendants. "Klarjetian" villages are not many in the black sea region, though they mainly are gathered in Sinopi province. There are several villages in Samsuni, Duzje and Tokati provinces; as we mentioned, most of the villages in Marble sea region (Balikesiri, Sakaria Kojaeli, Ialova, Bursa, Bilekihi provinces) are of Muhajirs' descendants.

1.3.3. Shavshetian Dialect is spread on historical territory of Shavsheti. Two sub-dialects are singled out in Shavshetian dialect; Imerkheuli and Mach'akhluri. As of Shavshetian dialect, which

covers Shavsheti region of Artvin Province of modern turkey, is divided in two parts; Georgian Shavsheti (the villages of Imerkhevi valley speaking in Georgian language, also Ustamisi, Chisiskhevi..) and Turkish Shavsheti- most of the villages of Shavsheti water valley, the habitants of which are native language lost Georgians, however Georgian elements can be still observed in their speech. As for Mach'akhelian dialect, this is spread in the valley of Mach'akhela. During ottoman period, the mentioned valley was distinguished with correct Georgian speech and love of native language. The part of the valley- upper Mach'akhela is under property of Turkey. There are six villages- Akria, Efrati, Mindieti, Zedvake, Kvabitavi, Khertvisi- with about two thousand habitants. Mach'akhelian sub-dialect and Georgian language are quite well kept in middle and upper generations.

Shavshetian dialect alike other southern dialects after Muhajir eviction, has significantly expended in Shavsheti and mainly in different regions of Turkey based on the Muhajirs villages of Mach'akhela, in particular, in the provinces of Odru, Samsuni, Sinopi, Amasi, Tokati, Kastamonu, Bursa, Sakaria, Ialova and there are about eighty villages of Mach'akhelian migrants. Most of them (about sixty villages) are of Mach'akhelians.

1.3.4. Taoan dialect is spread in one of the historic southern part of Georgia –Tao, which today is within the boundaries of Turkey. There are four Georgian villages in Tao, Khevai, Kobai and Balkhi-, which are the settlements of Elia Valley- with the districts spread in the whole valley. There near parkhali is Vaniskhevi, in which two Georgian speaking district- Ch'ilati and Makhateti.

Hereby we must mention the village Binati, which is located, fare from the mentioned territory, in the upper area of Artvin, within optional border of Tao and Klarjeti, near ch'imch'im.

The trace of Taoan Georgians in the inner regions of Turkey, in the settlements of Muhajirs' descendants, is less noticeable. This part of Chorokhi basin remained under position of Ottoman Empire after establishment of Russia in Caucasus. For a short period of time, Russia occupied the whole basin of Chorokhi during World War I. We found Taoans- the descendants of Parkhali and Binati resettled in Akiazi Ilche's village Sherefie (Şerefîye), of marmara sea region, Sakaria province, which should be established by Georgian Muhajirs at the end of 19th-century. Besides, there is a village in Suluovi Region of Amisi province, Black sea region, named Kilicharslani (Kılıçarslan), where live ten Georgian families resettled from Village Balkhi. Resettlement of Balkhians is the result of internal migrations of Turkey. They have settled in the village in thirties of twentieth century.

Knowledge of Georgian language in Sherepie, also in Taoans living in Kilicharslan, is so meager that, it is difficult to obtain the analyzing data for observing the dialect.

1.3.5. The quality of Georgian language knowledge in Georgians of Turkey Concerning Georgian language in Turkey, can generally said that a) the vocabulary has significantly become poor; b) Turkism part has increased in the vocabulary; c) rarely meet the representative of new generation, who knows native language: children of average and early age do not know Georgian language no longer. The process of generations change during the centuries has resulted in objections of point of views.

It should also be noted here, that according to the legislation of Turkey, for the national minorities is allowed to study the native language at school as the optional subject. This is total news: in 2014 year, in the village Nuruosmanie of Maradidi Muhajirs descendants, in Geivi region, Sakaria province opened two Georgian classes

(teacher- Mustafa Kolati). For 2015-2016 academic years, two groups of Georgian language opened in Murghuli (Artvin province, Murghuli region) school. The teacher is Fatih Meidan (Tsvaridze).

The significant novelty of Education system of Turkey- teaching of native language in the framework of optional subject- is slowly and hardly establishing- so far only in two schools appeared the applicants. Speeding up of the process is prevented by the lack of teachers and books, also by subjective or objective factors.

Chapter II. Noun roots formation in southern dialects

2.1. Numerous characteristics of Noun roots. Observing to the speech of Chorokhi Basin Georgians shows several tendency of root formation.

The case loosing of initial letter on the root is quite often found in Klarjetian, Shavshetian, Adjarian and Taoan dialects.

...**taze** (<mtaze) ar mival, aq moval-da (devsk); **dzedan** (<rdzisgan) gavaketavt mats'oni... (jiv): ese **tavrobis** (<mtavrobis) adgili iyo(buj): **pilendzis** (<spilendzis) karxana iyo (buj.):

In some cases we may meet one and the same word as without the initial letter as, according to norm. For example: *tiflisidan* **rdzali** moida (jiv). *Chemi iegnis bich's yavs tiflisidan* **dzali** (<rdzali) (jiv);

Relatively rarely is found the same forms in the speech of Kobuletian Muhajirs and Tao.

shvildisris(<mshvildisris) rkals gaaketef (kabaq); rome gaagvidza shoferi, **tvare** (<mtvare) dabra darchao (takht);

vitsituare (<mrvare), **ze** (<mze) **zitulits**(<mzis tvali) vicit (kuab.); axla **tavroba** (<mtavroba) movda, mektefi gaxsa;

Also worth noting such forms, where the letter is lost though not the initial one;

ts'kal maashkhapebda, **sakhshi** (<sakhlshi) sheiyvanda (jiv); *me bagvi* (<bavshvi) ar *meyola da dasaxlda* (merj); *ts'vril* **bovshebi** (<bavshvebi) tsevdodeso (elias); *tevzs shets'viden* **nigzis** (<nigvzis) zhvershi (takht);

There are such cases in southern dialects, when instead of letter-O in the noun root is found letter-V and vice versa. This mentioned case is mainly observed in Taoan dialect.

Ts'vril **bovshebi** (<bavshvebi) ts'evdodeso (elias.); bich'ebma **gogvebs** (<gogoebs) gamuutkmiden (jiv.); **gogvebi** (<gogoebi) ori Istambul arian (shavsh) (**Shavshuri**); **koliferi** (<kvelaferi) itsis (takht);

